პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 233 (19375) ◆ ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი, 1985 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

კრიტიკა კრებაზე

მნელი წარმოსადგენია პარტიული კრება უკრიტიკოდ. და თუ ასეთი კრებები იმართება, მაშინ ისინი, რა თქმა უნდა ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. კრიტიკა ნაცადი მეთოდია, რომელიც კომუნისტებს ეხმარება გამოავლინონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, დააჩქარონ წინსვლა.

ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ახლა, როცა პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მათი ტრიბუნიდან კომუნისტები მარტო გაკეთებული საქმის შესახებ როდი ლაპარაკობენ. ყურადღებას მიაპყრობენ სიძნელეებსაც, რომლებიც უნდა დაძლიონ, ამოცანებსაც, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ. ეს ამოცანები კი ნამდვილად უდიდესია. მათ რომ გავართვათ თავი, საჭიროა, მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ამას. და, რასაკვირველია, უნდა ვხედავდეთ ყველაფერს, რაც აფერხებს მუშაობას, უფრო სწრაფად აღმოვფხვრიდეთ შემაფერხებელ მიზეზებს ჩვენს გზაზე. სწორედ ამიტომაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ანგარიშგება-არჩევნები მოვაწყოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ბოლშევიკური გულახდილობის ვითარებაში.

ამ მითითებას ასრულებს პარტორგანიზაციათა უმრავლესობა. წერილებში, რომლებსაც რედაქცია იღებს, ლაპარაკია იმაზე, რომ ...

[illegible]

«ПРАВДА»

8 ოქტომბრის მოწინავე

[illegible]

ორბიტის ამბები

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ექიმის მოვალეობის დარღვევისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი, რომლებიც ახასიათებდა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მუშაობის სტილსა და მეთოდებს, რაც გამოიხატა უკონტროლობით და წაყრუებით საქვეუწყებო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაკების მიერ ექიმის მოვალეობის არაკეთილსინდისიერი შესრულების ფაქტებისადმი, აგრეთვე მინისტრის რ. დ. სურმანიძის მხრივ პარტიული და სამსახურებრივი ეთიკის უხეში დარღვევის საკითხი.

... უწიეს აუცილებელი სამედიცინო დახმარება. მძიმე ავადმყოფი ბავშვი შესაბამისი მედიკამენტებისა და თანმხლები სამედიცინო პერსონალის გარეშე გამოგზავნეს თბილისში. ეს ამბავი გამოაქვეყნა გაზეთმა „იზვესტიამ", რომლის სტატიამ „სხვისი ტკივილი" ფართო რეზონანსი გამოიწვია.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის, რომ უკვე სტატიის გამოქვეყნების შემდეგ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოში გამეორდა უკიდურესი უსულგულობის ანალოგიური შემთხვევა, რომლის შედეგადაც ბავშვი დაიღუპა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს ფაქტები და აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და პირადად მინისტრმა რ. დ. სურმანიძემ არათუ სწორი ... დაცვის სამინისტრო, რომლებმაც იცოდნენ შექმნილი სიტუაცია, ძირითადად სჯერდებოდნენ სანახევრო გადაწყვეტილებების მიღებას, მათ გადამწყვეტი ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ საექიმო ეთიკის აღმაშფოთებელი დარღვევის ... აღკვეთისა და ბრალეულთა მკაცრად დასჯისათვის. ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცალკეული ხელმძღვანელები ხელს უწყობდნენ დაუსაბუთებელი აზრის შექმნას რ. დ. სურმანიძეზე, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოცდილ და პრინციპულ მუშაკზე, მაშინ როცა ამ უკანასკნელმა გამოიჩინა უპრინციპობა, როცა დაარღვია პარტიული და სამსახურებრივი ეთიკის ნორმები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში თავისი ვაჟის მოწყობის დროს.

... ... ილების დროს. საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომმა (პირველი მდივანი — ამხ. მ. ა. ჩაგალიძე) დაუსაბუთებლად მისცა უკონკურსოდ ჩარიცხვის მიმართვა ჯანმრთელობის ...

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ XXVII ყრილობას — დამკვრელური შრომა!

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

ბოლო წლების მანძილზე მცხეთის რაიონში გამოიკვეთა მეცხოველეობის მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია. წლიდან წლობით მატულობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, პირუტყვის პროდუქტიულობა.

ურიგო როდი იყო წარსული გამოზამთრება, როცა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში რძის წარმოება გაიზარდა 342 ტონით, ხორცისა — 173 ტონით, ყოველი საფურაჟე ძროხის წველადობა — 78 კილოგრამით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, შემცირდა პირუტყვის გაწყდომა.

ამ წარმატებების მიღწევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ...

... მდინარეობს სილოსის ჩადებისა და ნამჯის დამზადებისათვის მუშაობა.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკონსერვო და ღვინის მრეწველობის ნარჩენებისაგან საკვების დამზადებას, სხვა რეზერვების ფართო გამოყენებას.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში აწარმოონ 4.100 ტონა რძე, 1.080 ტონა ხორცი, 6 მილიონი ცალი კვერცხი, ყოველ 100 ძროხაზე მიიღონ 82 ხბო, 100 ნეზვზე — 1100 გოჭი, 100 ნერბზე — 88 ბატკანი. ყოველ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 2 ათასი კილოგ...

წარმატებული გამოზამთრებისათვის

მცხეთის რაიონის მეცხოველეთა სოციალისტური ვალდებულებანი

... რისხოვანი საკვებით, პირუტყვის გამოზამთრებისათვის სარემონტო და სხვა სამუშაოების დროულ დამთავრებას, კადრებით დარგის დაკომპლექტებას. რაიონის საკვებდამამზადებლებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სენაჟის ჩადების, ბალახის ფხვნილის წარმოების გეგმა. წარმატებით მი...

... ოქიან პირუტყვზე რაიონში მთლიანად 30-32 ცენტნერი საკვები ერთეული დამზადდება.

კიდევ ერთხელ აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობები, მცხეთის რაიონის მეცხოველეებმა 1985-1986 წლის წარმატებული გამოზამთრებისათვის შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს:

... პროცენტით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შრომითი და საწარმოო დისციპლინის შემდგომ გაუმჯობესებას, მართლწესრიგის განმტკიცებას, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისას კონტროლის გაძლიერებას.

(საქინფორმი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

დავალება შესრულებულია

● **თეთრი წყაროს** რაიონის ფერმების მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის დავალება. ხორცი 4560 ტონის ნაცვლად მიყიდულია 4670 ტონა, რძე 6.965 ტონის ნაცვლად — 6.980 ტონა, კვერცხი, 2,5 მილიონი ცალის ნაცვლად — 2,7 მილიონი ცალი. შარშანდელთან შედარებით ხორცი დამზადებულია 730 ტონით მეტი, რძე — 690 ტონით მეტი.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. მემარნიშვილმა** და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **ა. მესხიშვილმა.**

● **სამტრედიის** რაიონის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის 9 თვის დავალება. ხორცი 1.596 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2.040 ტონა, რძე — 3.517 ტონის ნაცვლად — 3570 ტონა. კვერცხის მიყიდვის ვალდებულება შესრულებულია 104,8 პროცენტით.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. იმედაძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **თ. მიქაძემ** და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ **მ. მელქაძემ.**

ახლა სოფლად გადაუდებელ სამუშაოთა შორის ერთ-ერთი უპირველესია პირუტყვის გამოზამთრებისათვის ...

[illegible]

... უჟდება.

მეცხოველეობა, ცოტა არ იყოს, ყურსა და თვალს უკან არის მიგდებული ლაგოდეხის რაიონში. დღეს მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში იმაზე ნაკლებ რძეს, ხორცსა და კვერცხს აწარმოებენ, ვიდრე ხუთი-ათი წლის წინათ.

სამაგიეროდ თამბაქოს პლანტაციები და ვენახის ფართობი გავზარდეთ, პირუტყვის საკვებისათვის კი ადგილი აღარ გვრჩებაო, გეტყვიან საზოგადოებრივ მეურნეობათა მესვეურები. თუ მიწის ბალანსს გადავხედავთ, ეს არ არის გამამართლებელი საბუთი. იმასაც გეტყვიან: ეს ადგილი დაჭაობებულია, ეს უნაყოფო მიწებიაო და სხვა. მაგრამ დღეს ასე არ დგას საკითხი. მიწა ყველგან კარგია, თუ მოუვლი, თუ ხალხის სამსახურში ჩააყენებ.

ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ ლაგოდეხის რაიონში იმდენ სიმინდს თესავდნენ სამარცვლედ და სასილოსედაც, რომ პირუტყვსაც ჰყოფნიდა და შრომადღეებზეც გვარიანად ნაწილდებოდა. თექვსმეტი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავდა ლაგოდეხს და მათ შორის უმეტესობა მესიმინდეები იყვნენ.

რაიონი ცუდად არ გამოიყურება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში — მარცვლეულის, ყურძნის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. ბევრ დარგში ...

... სამშობლოს, მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში ბევრი არაფერი ეთქმით. ბაისუბნის კოლმეურნეობას სახელწოდება კი აქვს „წინსვლა", მაგრამ წინ კი არა, უკან მიდის. მათი ფურები წელიწადში საშუალოდ 1.500-1.600 კილოგრამ ...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გარდაბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი გახდა ნუკრი მაღრაძე. ამჟამად იგი მოწინავე საკვებდამამზადებელთა შორისაა. მათ ვალდებულება იკისრეს ზამთრისათვის დაამზადონ 700 ტონა სილოსი — საგეგმოზე ორჯერ მეტი, 250 ტონა თივა და სხვა.

მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეებს საშუალებას მისცემს გაზარდონ პროდუქციის დამზადება. წლიური გეგმით გათვალისწინებული 2500 კილოგრამის ნაცვლად მათ პირობა დადეს, რომ ყოველ საფურაჟე ძროხიდან მიიღონ საშუალოდ 2700 კილოგრამი რძე.

სურათებზე: გარდაბნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ამზადებენ სასილოსე მწვანე მასას; კომკავშირელი ნუკრი მაღრაძე — ყრილობისწინა დამკვრელური ვახტის ერთ-ერთი მოწინავე.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მექანიზატორის წვლილი

არ ჰყოფნით თივა, ნამჯა, სილოსი

საკვებზე ზამთარში წუწუნი გვიანღა იქნება

სანაწვერალო სიმინდი გვქონდა გათვალისწინებული, მაგრამ... გვალვამ დაწვა სიმინდიცა და სათიბიც.

[illegible]

ვლ. მაღლაკელიძე, „კომუნისტის" საკ. კორ.

რეზო ამაშუკელი

მაშ გაუმარჯოს ამ ბებერ თბილისს

დავყურებ ჩემი ბავშვობის ქალაქს
ძველი უბნების
წითელ კრამიტებს,
დიდება შენდა სიკეთის ძალავ —
ძარღვში რამხელა სითბო დამინთე!
ბაღი ქარებმა ყვითლად დალაქეს,
რომ ფოთოლცვენა
მოჰყვა ირისებს,
— ას კაცში ვიცნობ ყველა ქალაქელს,
თვალდახუჭული ვიგრძნობ თბილისელს.
ვისი შვილი ხარ
ეს სულ ერთია,
ამ ცით, ამ მიწით იყავ დღეგრძელი!
მე შენს სიმღერას
ძველს და სევდიანს,
სული ვუბერე როგორც შევძელი!
თუ მის გაზაფხულს
ჩემსავით ელი,
და თუ ჩემსავით შლეგი იყავი,
— მოდი, ძმასავით მომხვიე ხელი,
მოდი და თბილი სიტყვა მითხარი!
არ აკლდა ჟამი
და კმევა აკმედ
ურდოთა, მტერთა, ავისმზრახველთა...
მისი შენება
დღეს იქცა საქმედ,
საქმედ, მომავლის გადასახედად!
დღეს ქუდზე კაცი იქითკენ მიდის,
თუ მასში კაცის
არის მისხალი,
— სად გული ბავშვის
და სიბრძნე დიდის
დგას ბედთან მარად შეურიგალი!
წაიღო მტკვარმა
მავანთ „ქველობა"
და ჭიქით ყალბად ნაჭიკჭიკარი...
— კურთხევა მარად
მის ქართველობას,
ვისაც ქვეყნისთვის ეწვის ჭიგარი!
ვის მუხლზე უდევს
წიგნი ზნეობის,
ბნელის და ნათლის
ნაღდი ტიხარი,
რომ საქმით და არ პირმოთნეობით
ქვას ქვა ედება,
ფიქალს — ფიქალი!
მარად ეფინოს პირიმზე დილის
მის მწვს და ქომაგს,
ყველას, ვინც არის!
— მაშ გაუმარჯოს
ამ ბებერ თბილისს,
არცრა მქონია სხვა საფიცარი!

1985 წლის 6 ოქტომბერი

ხალხის საქმეებთან წილნაყარობა

ყოველივე, რითაც მდიდარია და ძლიერია საბჭოთა სახელმწიფო განუყოფლად ეკუთვნის მის ხალხს — შემოქმედსა და აღმშენებელს. საბჭოთა დემოკრატიის მონაპოვართაგან, ფართოდ რომ არის ცნობილი მსოფლიოში როგორც საბჭოთა ცხოვრების წესი, ისე მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ ზოგჯერ რაღაც ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამთ. არადა, ისინი სახელმწიფოს განუხრელი მეცადინეობის ნაყოფია, სახელმწიფოსი, რომლის დროშაზეც წერია: „ყვე...

... მდივანი გ. დ. გაბუნია და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი ეწვივნენ სოციალური დანიშნულების რამდენიმე ობიექტს.

ამ დღეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის სუსტი ყურთასმენის ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მეცადინეობა არ იყო. მაგრამ სასწავლო ოთახებში, სახელოსნოებში, სპორტულ დარბაზში, წითელ კუთხე...

... ლო წლებში 28 კურსდამთავრებული დაეუფლა პროფესიას საფინანსო ტექნიკუმში და წარმატებით მუშაობს რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში. ბავშვებს ასწავლიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, რომლებმაც დაამთავრეს დეფექტოლოგიის ფაკულტეტი ან გაიარეს სპეციალური ორწლიანი კურსები.

ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი დაესწრო წრეების მეცადინეობას, დაათვალიერა სპორტული დარბაზი და წითელი კუთხე, სადაც ...

... იმის შეგნება, რომ სჭირდები საზოგადოებას, რომ შენი მოხუცებულობა უზრუნველყოფილია.

ბევრ ჩვენგანს ჰყავს ახლო ნათესავები, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ჩვენთვის შექმნილი შესანიშნავი პირობები, ასაკობრივი ინტერესების ერთიანობა, შეძლებისდაგვარი კოლექტიური შრომა ახალ იმპულსს გვაძლევს ცხოვრებაში. დიდად მადლიერი ვართ საბჭოთა სახელმწიფოსი, მისი დიადი ქარტიის — კონსტიტუციისა, რომელიც სახალხო ხელისუფლების ლენინური პრინციპების ...

[illegible]

(საქინფორმი).

დიახ, ადამიანის ფაქტორი!

მეტად მრავალფეროვანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები. ისინი დიდ გავლენას ახდენენ როგორც წარმოებაში დასაქმებულებზე, ისე მთელი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. შრომის საშუალებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ძალის განვითარებაში, მაგრამ ისინი ვერ განსაზღვრავენ ვერც ტექნიკის გამოყენების ხასიათს, ვერც მათს როლს ადამიანის და, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაში. ამ პროცესში მთავარ როლს ადამიანის ფაქტორი ასრულებს. საზოგადოებრივი წარმოების ყოველგვარი გარდაქმნისა და გაუმჯობესების პროცესში ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ადამიანი, მისი შრომა.

ამ სტატიაში ლაპარაკია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ხასიათსა და მიმართულებებზე, მის დაჩქარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაში მეცნიერების როლზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და შრომის ნაყოფიერებაზე, სამუშაო ძალის განვითარების პრობლემებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის, მართვისა და სტიმულირების საკითხებზე.

სკკპ ეკონომიკური პოლიტიკა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიზნად ისახავს ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებას.

ამ პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი საშუალებაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიმართულებანი ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასთან მჭიდრო კავშირით უნდა განვიხილოთ. უკანასკნელი 2-3 ათეული წლის განმავლობაში განხორციელდა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენები, ადამიანის აზროვნების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სამეცნიერო და საწარმოო დარგები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული შემოსავლის მეცნიერებატევადობა, ასე, მაგალითად, 1950 წლიდან დღემდე ეროვნული შემოსავლის 6,3-ჯერ ზრდის პირობებში დანახარჯები მეცნიერებაზე 26-ჯერ გაიზარდა.

მეათე ხუთწლედში მეცნიერებაზე დანახარჯებმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან შეადგინა 97,9 მილიარდი მანეთი, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში — 48 მილიარდი მანეთი. მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა 1965 წელს 664,6 ათასიდან 1982 წლისათვის გაიზარდა 1431,7 ათასამდე, ანუ ორჯერ და მეტად. ახლა სსრ კავშირში მუშაობს მსოფლიოს მეცნიერთა 25 პროცენტი.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამოქმედდა 418 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები. ამან უზრუნველყო ეროვნული შემოსავლის ზრდა 12 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციისა კი 11 პროცენტით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 18 პროცენტით, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციული საქონელბრუნვა 7 პროცენტით გადიდდა.

ტექნიკური პროგრესი გულისხმობს საწარმოო ძალების ყველა ელემენტის, როგორც მატერიალურ-ნივთობრივის, ისე ადამიანთა კულტურულ-ტექნიკური და ინტელექტუალური დონის სისტემატურ სრულყოფას. გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მოცულობა და სტრუქტურა ახასიათებს წარმოების განვითარების მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობას, რომლის რეალიზაცია ხდება არა თავისთავად, არამედ ადამიანთა ჩარევით, მათი ზემოქმედებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჩვენ გვაინტერესებს არა თავისთავად, არამედ, როგორც სოციალური შედეგების გამომწვევი ფაქტორი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისათვის. ამ პროცესის არს საზოგადოებრივი შრომის ერთობლივი დანახარჯების შემცირება წარმოადგენს, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი მთავარი ამოცანა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება გახლავთ.

თანამედროვე ეტაპზე წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებასთან ორგანულ შეერთებას და ამ საქმეში მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის სრულ რეალიზაციას. ახლა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე დამოკიდებულია მისი დანერგვის სიჩქარესა და მასშტაბებზე.

ამავე დროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსებული ტემპი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მაჩვენებლებს, რომლებიც ამ პროცესის შედეგად არის მოსალოდნელი. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის ფონდაღჭურვა 1985 წლისათვის 1980 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 120 პროცენტით, მაშინ, როცა ფონდუკუგება მცირდება 2,5 პროცენტით. მრეწველობაში ყველა კატეგორიის მუშათა შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე 1975–1984 წლებში ამაღლდა 45,4-დან 46,8 პროცენტამდე, ან მხოლოდ 1,4 პროცენტით. მრეწველობაში ხელით შრომობს მუშათა 35 პროცენტზე მეტი.

სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში ტექნიკური პროგრესის განხორციელება და მეცნიერული მიღწევების დანერგვა ერთნაირად და თანაბარზომიერად არ მიმდინარეობს. ამიტომ საჭიროა მისი დაგეგმვა და რეგულირება ისე, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს თან ახლდეს წარმოების ეფექტიანობის ყველა მაჩვენებლის ზრდა. ამ გეგმაზომიერი პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს წარმოებაში უკვე მიღწეული ტექნიკური დონის ანალიზს.

სკკპ XXVI ყრილობის მითითებათა შესასრულებლად სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვის დახვეწილი სისტემა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმშენი ამუშავებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის კომპლექსურ პროგრამას. ყოველი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ეს პროგრამა ზუსტდება და შედგება შესაბამისი ხუთწლიანი გეგმისათვის.

ერთიანი სახელმწიფოებრივი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფორმას თანამედროვე პირობებში წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამა, რომელიც ზემოაღნიშნულმა ორგანოებმა 1979 წელს შეიმუშავეს. იგი მოიცავს 1980 წლიდან 2000 წლამდე პერიოდს.

თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მართვის განსაკუთრებული სისტემის ძირითადი მიმართულებებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კონკრეტული მიზნებისა და კრიტერიუმების შემუშავება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელი ციკლის („მეცნიერება — წარმოება") კომპლექსის დაგეგმვა, რიტმულობა და დაფინანსება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ორგანოების შექმნა და მათი მუშაობის სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა განზოგადება, გავრცელება და ინფორმაციული სამსახურის ჩამოყალიბება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხისადმი მიძღვნილ თათბირზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „დროა მაგალითად, შევცვალოთ მდგომარეობა, როდესაც ახალი ტექნიკის გეგმა თითქოს თავისთავის არსებობს, არ ახდენს განმსაზღვრელ ზეგავლენას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებზე. პირიქით, იგი მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის მზიდი კონსტრუქცია უნდა იყოს. გეგმებში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავონ ხარისხობრივმა მაჩვენებლებმა, რომლებიც ასახავენ რესურსების გამოყენების ეფექტიანობას პროდუქციის განახლების მასშტაბს, შრომის ნაყოფიერების ზრდას ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების საფუძველზე".

მეცნიერული გამოკვლევების შედეგებისა და ახალი ტექნიკის წარმოებაში დანერგვის ორგანიზაციის სრულყოფა ჩვენი სამეურნეო მუშაკების ყოველდღიური საზრუნავია. მეცნიერულ-ტექნიკური შედეგების პროდუქციად გარდაქმნის ვადების შემცირებას თანამედროვე პირობებში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც მთელი ციკლით „მეცნიერება — ტექნიკა — წარმოება", ისე მისი ცალკეული სტადიის შემცირების ხარჯზე. იმისათვის, რომ ამ პროცესს გეგმაზომიერი ხასიათი ჰქონდეს, მიმართავენ წარმოების ტექნიკური განვითარების დაგეგმვას.

> **დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი**

სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა გულისხმობს პერსპექტიული და მიმდინარე პროგრამების შედგენას. პერსპექტიული გეგმები ითვალისწინებენ წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამ გეგმებში განისაზღვრება შემდეგი ძირითადი მიმართულებანი: საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისება, ახალი ტექნიკისა და ეფექტიანი ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა. პერსპექტიული გეგმების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსებისა და სახსრების სწორი განაწილება და განსაკუთრებით ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

ხშირად დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დამუშავებული თემები წარმოების კონკრეტულ პირობებში იხვეწება. ამ სამუშაოების შესრულებაში, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გარდა, საამქროს ოსტატები და მოწინავე მუშებიც მონაწილეობენ. არის შემთხვევები, როდესაც საწარმოში დასანერგავი ტექნიკური სიახლე დაკავშირებულია მთელი საწარმოო უბნის რეკონსტრუქციასა და მუშაობის რეჟიმის შეცვლასთან. ამიტომ ასეთი ღონისძიების განხორციელებაში საწარმოს მთელი კოლექტივი უნდა მონაწილეობდეს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაშიც. მეათე ხუთწლედში შემუშავდა და განხორციელდა სხვადასხვა ტიპის 20 კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამა. მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებები 22 საკავშირო კომპლექსური პროგრამის დავალებათა შესრულებაში მონაწილეობენ.

მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია საკმაოდ რთული საქმეა. მათში უნდა აისახოს ყველა საკითხი, რომელიც ეხება პროგრამების შემუშავების ეტაპებს. მოცემული უნდა იყოს პროგრამის შედგენის ამოსავალი მაჩვენებლები და მისი კავშირი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასთან. ეს იმიტომ, რომ კომპლექსური პროგრამები უნდა შემუშავდეს როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმების უმთავრესი შემადგენელი ნაწილი.

როგორც წესი, მიზნობრივი პროგრამები დგება იმ საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც მიმდინარე ეტაპზე პრინციპული მნიშვნელობა აქვს წარმოების განვითარებისათვის.

წარმოების პროგრამულ-მიზნობრივი მართვა და დაგეგმვა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

ეფექტიანი მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების წარმოებაში დროულ დანერგვას, ზემდგომი ორგანოების ოპერატიული ხელმძღვანელობიდან გამოთავისუფლებას, პროგრამის შესრულებისადმი ხელმძღვანელობის ოპერატიულობის გააქტიურებას, პროგრამის ხელმძღვანელობასა და შემსრულებლებს შორის პირდაპირი ჰორიზონტალური კავშირის დამყარებას, პროგრამის შესრულების მსვლელობისადმი უფრო ეფექტიანი, ოპერატიული კონტროლის დაწესებას.

პროგრამები, რომელთა მიზანი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვაა, გულისხმობს რამდენიმე სახეობის პროგრამის რეალიზაციას. მათგან მთავარია პროექტისა და პროდუქციის გარკვეული სახეობის მიხედვით მართვა და დაგეგმვა, სიახლეების წარმოებაში დანერგვის სამსახურის მართვა და დაგეგმვა.

თანამედროვე პირობებში მიზნობრივი პროგრამების უმრავლესობა მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათისაა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამა გახლავთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც შემსრულებლების, რესურსების, დროისა და სივრცის მიხედვით არის ურთიერთდაკავშირებული და გამიზნულია კონკრეტული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტისათვის. პროგრამების ამავე კლასს მიეკუთვნება წმინდა მეცნიერული პროგრამების გადასაწყვეტი მიზნობრივი პროგრამებიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ხაზგასმული იყო, რომ მეცნიერებისა და წარმოების შეერთებას ხელს უნდა უწყობდეს დაგეგმვის მეთოდები და მატერიალური სტიმულირების სისტემა. საჭიროა, რომ ისინი, ვინც გაბედულად ნერგავს ახალ ტექნიკას, არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ პირობებში.

ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების პროცესში დიდდება ყველა სახეობის რესურსების დანახარჯები. ამიტომ შესაძლებელია შემცირდეს როგორც მუშაობის ეფექტიანობა, ისე წახალისების სახსრებიც.

ასეთ პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს დაფინანსებისა და სტიმულირების მთელი სისტემით. ეკონომიკური სტიმულირების სისტემა არ გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც წაახალისებს საწარმოებს დანერგონ ახალი და წარმოებიდან მოხსნან მოძველებული ტექნიკა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1969 წლიდან ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში, ხოლო შემდეგ სხვა დარგებშიც ხორციელდება ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომლის თანახმად თანამედროვე ტექნიკის შექმნისათვის შემოღებულია დაგეგმვის, დაფინანსებისა და სტიმულირების ახალი მეთოდები.

ამის შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვაში სერიოზული ცვლილებანი მოხდა. კალენდარული წლის მიხედვით სამუშაოთა საერთო მოცულობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით დაგეგმვის ნაცვლად შემოიღეს თემატური დაგეგმვა. იგი ითვალისწინებდა თემის მიხედვით სამუშაოთა მთელი ციკლის შესრულებას — სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით დაწყებული და ახალი ნაკეთობის სერიული გამოშვების ათვისებით დამთავრებული. ასეთი სისტემა ეფუძნება სამინისტროს სისტემაში შეკვეთა-განრიგის გამოყენებას და პრაქტიკულად სამეურნეო ხელშეკრულების ძალას იძენდა. პირველად სწორედ ამ დარგში შემოიღეს პროდუქციის ხარისხის ატესტაციაც. დაიხვეწა დაფინანსებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემა, დაინერგა სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრული თანამედროვე მეთოდიკა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მუშაობის დაფინანსების ძირითადი წყარო გახდა დარგობრივი გეგმით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი, რომელიც დარგის საწარმოებისა და გაერთიანებების მოგების ანარიცხებიდან იქმნება.

ამრიგად, ანარიცხები წახალისების ფონდებში ახალი ტექნიკის დანერგვას დაუკავშირდა. ამ ფონდების წარმოქმნის წყარო მოგება გახდა. წახალისებაზე ანარიცხების სიდიდე დაუკავშირდა ახალი ტექნიკის ეფექტიანობას, მაშინ, როდესაც წინათ მუშაკთა მატერიალური სტიმულირება ხდებოდა იმ თანხებიდან, რომლებიც პროცენტულად იქმნებოდა ხელფასის ფონდიდან მუდმივი დადგენილი ნორმატივებით.

1980 წლიდან ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის ორგანიზაციის სამუშაოებისათვის სამეურნეო ანგარიშის სისტემაზე შეკვეთა-განრიგის მიხედვით გადაყვანილია მრეწველობის ყველა დარგი. მას საფუძვლად უდევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის, დაფინანსების და ეკონომიკური სტიმულირების ექსპერიმენტული სისტემა.

ამ სისტემის მოქმედება იწყება დაგეგმვით. ახალი ტექნიკის ათვისებასთან დაკავშირებული ყველა დავალება შევა სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნიკურ-საწარმოო საფინანსო გეგმების შესაბამის განყოფილებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის გამიზნული დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული დადგენილება „მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართო გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ". დადგენილებით უნდა განხორციელდეს პროდუქციის ატესტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, გაიზარდოს საატესტაციო კომისიების როლი და გაძლიერდეს პასუხისმგებლობა პროდუქციის ტექნიკური დონის შეფასებაში. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის შესაბამისი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიხედვით, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შესაბამისად წესდება საბითუმო ფასების დანამატები 30 პროცენტამდე. ეს დანამატი ძალაში დარჩება, თუ შემდგომი ატესტაციისათვის კვლავ მიენიჭება ხარისხის უმაღლესი კატეგორია.

დ. ქნელაძე,
შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადული მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა წლის განვლილი ცხრა თვე. აქაურმა მშრომელებმა შეასრულეს პროდუქციის როგორც გამოშვების, ასევე რეალიზაციის გეგმები. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 108,5 პროცენტი შეადგინა, საწარმოში გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ახალი ნაწარმის ათვისებას და ტექნიკის განახლებას.

სურათზე: დამამზადებელი საამქროს მოწინავენი — ზეინკლები მ. ჯანგირაშვილი და ა. გოლეთიანი, ელექტრიკოსი, ა. მაჭარაშვილი და ზეინკალი ი. კვაცაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ექიმის მოვალეობის დარღვევისათვის

(დასასრული)

დაცვის მინისტრის ვაჟს, რომელიც რაიონში ფორმალურად მხოლოდ 1984 წლიდან არის ჩაწერილი. მაგრამ იგი რაიონში ჩაწერის შემდეგაც ბათუმში ცხოვრობდა, სადაც დაამთავრა კიდეც № 3 საშუალო სკოლა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით აღმაშფოთებელია იმ ფონზე, რომ სპეციალისტის, მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ვაჟს უარი უთხრეს სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩარიცხვის მიმართვის მიცემაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ (რექტორი — ამხ. დ. ო. ბალაძე) ყურადღება არ მიაქცია აბიტურიენტ ზ. სურმანიძის მონაცემების შეუსაბამობას. მისაღები გამოცდების დროს ინსტიტუტში არ იყო შექმნილი ვითარება, რომელიც ხელს შეუწყობდა აბიტურიენტებს შორის ობიექტური კონკურსის მოწყობას.

სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ (რექტორი — ამხ. კ. ს. ვირსალაძე), რომელმაც თავდაპირველად სწორი პოზიცია დაიკავა, ბოლომდე არ შეასრულა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მითითება ზ. სურმანიძის ინსტიტუტში ლიმიტით მიღების დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდნენ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქმიანობას, მათ არ განახორციელეს ქმედითი ღონისძიებანი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად და არ აღკვეთეს რ. დ. სურმანიძის მიერ პარტიული და სამსახურებრივი ეთიკის ნორმების უგულებელყოფის ფაქტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა მუშაობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „სხვისი ტკივილი" დასახელებული ფაქტების შეფასებისას გამოვლენილი ლიბერალიზმისა და უპრინციპობისათვის, პარტიული და სამსახურებრივი ეთიკის ნორმების უგულებელყოფისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი მიზნებით გამოყენებისათვის გარიცხა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი რ. დ. სურმანიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან და მოხსნა თანამდებობიდან.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა, განიხილოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან რ. დ. სურმანიძის გაწვევის საკითხი.

უპრინციპობისა და პროტექციონიზმისათვის, რაც გამოიხატა სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩარიცხვის მიმართვის გაცემით აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის რ. დ. სურმანიძის ვაჟისათვის, რომელიც უსაფუძვლოდ იყო ჩაწერილი რაიონში, საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივანს მ. ა. ჩაგალიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და განთავისუფლდა თანამდებობიდან.

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელი ლიმიტების განაწილება-გამოყენების საკითხებისადმი არასწორი მიდგომისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ა. გუგუნავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ა. მ. ტაკიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს დ. ო. ბალაძეს სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩასარიცხად წარდგენილი აბიტურიენტების მიღებისადმი ფორმალურ-სუბიექტური მიდგომისათვის მიეთითა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის ამხ. კ. ს. ვირსალაძის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ინსტიტუტის მიმღებმა კომისიამ ბოლომდე პრინციპული პოზიცია არ დაიკავა აჭარის ასსრ რესპუბლიკიდან ლიმიტით წარმოგზავნილი აბიტურიენტის ზ. სურმანიძის ინსტიტუტში ჩარიცხვის დროს.

ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ მკაცრი საყვედური გამოუცხადა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს ამხ. ვ. გ. ჩანტლაძესა და ამავე სამინისტროს სამკურნალო განყოფილების უფროსს ამხ. ტ. ვ. ჩიქობავას, თანამდებობიდან გაათავისუფლა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოსა და რესპუბლიკური ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმები ამხანაგები ო. რ. კომახიძე, რ. ა. პერტაია.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს მუშაობა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბრძოლა საექიმო მოვალეობის დამრღვევთა მიმართ ლიბერალიზმისა და უპრინციპობის გამოვლინების წინააღმდეგ.

სამედიცინო დაწესებულებების პირველადი პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ, განიხილონ კრებებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანიც, რომელთა მიზანია ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის დამკვიდრება სისტემის ყოველ შრომით კოლექტივში.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან
არსებულ პარტიულ კომისიაში

მომზადებული შევხვდეთ ზამთარს

რესპუბლიკაში ფართო ფრონტით ემზადებიან ზამთრის პირობებში მუშაობისათვის, ხორციელდება თბომეურნეობის ახალი ობიექტების ამოქმედების, არსებული საქვაბეებისა და სათბობი რესურსების მარაგის შენახვისათვის განკუთვნილ ტევადობათა რეკონსტრუქციის კონკრეტული ღონისძიებანი. მეტი ყურადღება ეთმობა საწვავ-საპოხი მასალების ეკონომიის რეჟიმს.

ამავე დროს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არის ნაკლოვანებები და ხარვეზები. ამას მოწმობს პარტიული კომისიისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებების მიერ ერთობლივად მოწყობილი შემოწმების მასალები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის სხდომაზე განხილვის საგანი გახდა.

დადგენილია ბათუმში, ზესტაფონში, ჭიათურაში თბომეურნეობის ობიექტების მშენებლობის ვადების გაჭიანურების ფაქტები. ეს განაპირობა იმან, რომ გენმოიჯარეებმა — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 5 და № 8 ტრესტებმა, აგრეთვე შემკვეთებმა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ ზუსტი ორგანიზაცია ვერ გაუწიეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. მკაცრად გააკრიტიკეს სხდომაზე მოწვეული ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სამშენებლო სამუშაოთა დროული შესრულება, დაუშვეს ათობით მრავალბინიანი სახლის გასათბობად საჭირო ქვაბებისა და დამხმარე მოწყობილობის მიწოდების ვადების დარღვევა.

ცნობად იქნა მიღებული საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილის ა. ყურაშვილის, მშენებლობის მინისტრის მოადგილის გ. ლისიცინის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ჯ. კოკაიას, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის ზ. შავიშვილის, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მთავარი ინჟინრის გ. კაპანაძის განცხადებანი, რომ ახორციელებენ გათბობის სეზონის დაწყებისათვის ობიექტების ამოქმედების საჭირო ღონისძიებებს.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის", მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის" ტრესტის, თბილმრეწვმშენის № 3 ტრესტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების საუწყებო საბინაო ფონდის ზამთრისათვის არადამაკმაყოფილებელი მომზადების საკითხი. აქაც 15 ოქტომბრისათვის მთლიანად უნდა მოამზადონ შესაბამისი ობიექტები.

კრიტიკის ღირსია მოსახლეობის სათბობით უზრუნველყოფის მდგომარეობა. ფართო ბაზრის ფონდის ათვისება სტიქიურად, დამტკიცებული ვადების მნიშვნელოვანი დარღვევით წარმოებს. რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა დაგვიანებით გამოუყო საბაზრო ფონდები ნავთობბაზებს. ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავენ სათბობზე მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. სათბობის არათანაბარზომიერი განაწილების შედეგად სოხუმში, ზუგდიდში, მახარაძეში, წყაკაიაში, ახალციხეში ნავთობპროდუქტების წლიური ნორმა უკვე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაიცა, ქუთაისში კი ღუმლის სათბობი საერთოდ არ მიუტანიათ, ქალაქს კი გამონგარიშებით სულ ცოტა 1,5 ათასი ტონა ასეთი სათბობი სჭირდება. საკმარისი რაოდენობით არ გამოიყოფა გასაყიდად ნავთი, ანტრაციტი, შეშა და ბუნებრივი გაზი.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არის ქალაქის უბნების მიხედვით საწვავ-საპოხი მასალების ფონდების არასწორი განაწილების, სათბობის ეკონომიის რეჟიმის დარღვევის, მისი უყაირათო გამოყენების ფაქტები ავტოტრანსპორტის სამინისტროს, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, გაზის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში. მთელ რიგ რეგიონებში — დმანისში, მარნეულში, წალკაში, ჩოხატაურში, ზუგდიდში, ჭიათურასა და ხობში — არსებული დებიტორული დავალიანების გამო მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა შეწყვიტეს ქვანახშირის გაგზავნა, რაც მოწმობს, რომ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ჯეროვან კონტროლს არ უწევს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კომუნალური სამსახურების მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საფონდო დისციპლინისა და ნავთობპროდუქტების გამოყენების ეკონომიის რეჟიმის დაცვის საკითხი და არასაკმარისად ცნო სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების, ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობა ნავთობპროდუქტების ყაირათიანი და რაციონალური გამოყენებისათვის, აგრეთვე დარგობრივი ნავთობის სასაწყობო მეურნეობების შექმნისათვის.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მაქსიმალურად გამოიყენონ ზამთრისწინა პერიოდში დარჩენილი დრო მოწყობილობის და საქვაბეების რემონტის დამთავრებისათვის, სათბობის საჭირო მარაგის შექმნისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის მისაყიდად.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმომარაგების, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, გაზის სახელმწიფო კომიტეტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ყურადღება მიეპყრო იმას, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტონ სათბობ-ენერგეტიკული ბალანსებისა და ქვეყნის ცალკეული რეგიონებიდან სათბობის მიწოდების გეგმების დაზუსტებასთან დაკავშირებული საკითხები, განახორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი დამატებითი ფონდების გამოყოფისა და 1985-86 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფისათვის. ზემოაღნიშნული კომიტეტებისა და სამინისტროს ხელმძღვანელები გააფრთხილეს, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე წესრიგისათვის.

მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი სათბობის რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო საკმარისად აქტიურ და ეფექტიან მუშაობას არ ეწევა იმისათვის, რომ დროულად უზრუნველყოს სათბობით საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლები, მოაგვაროს საქვაბეების, თბოპუნქტებისა და ქსელების ნორმალური ფუნქციონირება.

საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სამინისტრო ზამთრის პერიოდისათვის მოსამზადებლად, მოისმენენ მიმდინარე წლის ოქტომბერში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის მუდმივ კომისიას, ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიას, დარგობრივ განყოფილებებს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალათ ყოველკვირეულად განიხილონ ზამთრის პირობებში ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებს.

დიატომიტი

უძვირფასესი მასალა

ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო ნატეხ და დაფხვნილ დიატომიტს უშვებს.

დაფხვნილი დიატომიტი ჰაერივით სჭირდება ქიმიური მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის მრეწველობის, კვების მრეწველობის, ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს.

დიატომიტისაგან ამზადებენ კატალიზატორებს გოგირდმჟავას წარმოებისათვის. ადგილობრივი მრეწველობა უშვებს ფილტრებს კვების მრეწველობისათვის და სხვა. რთულ პირობებში მოპოვებული ახალციხური ტონა ნატეხი დიატომიტის ფასი 16 მანეთს აღემატება და ეგზავნება საშენ მასალათა მრეწველობას, კერძოდ, რუსთავის ცემენტის ქარხანას ჰიდროცემენტის დასამზადებლად.

ჰიდროცემენტის დამზადება სხვა მეთოდითაც შეიძლება. ამ მიზნით დიატომიტის გამოყენება არ არის ეკონომიური. მისი განიავება დანაშაულის ტოლფასია. აბა რას ჰგავს ეს — ამ ძვირფას ნედლეულს მიწიდან ვიღებთ და წყალში ვყრით.

ახლა ენგურჰესის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ნატეხ დიატომიტზე მოთხოვნაც შემცირდა. მომავალი წლიდან კი შესაძლოა მთლიანად უარი თქვან მასზე.

ეს მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, ახალციხის მაღაროთსამმართველოს ხელმძღვანელობას აშფოთებს. გასაგებია მათი გულისწუხილი, ეს გამოიწვევს წარმოების შემცირებას. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემაშფოთებელი. დადგა დრო გაიზარდოს დაფხვნილი დიატომიტის წარმოება. უთუოდ აჯობებს ახლავე დაისვას საკითხი იმის თაობაზე, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, რომელსაც აღარ სჭირდება ნატეხი დიატომიტი, ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო გადასცეს იმ სამინისტროს, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება დაფხვნილი დიატომიტი. სხვათა შორის, ადრე ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა. იქნებ ისევ მას დაუბრუნონ? ან იქნებ სულაც აჯობებდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის გადაეცათ.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელსაყრელი იქნება როგორც თვით მაღაროთსამმართველოსათვის, ისე რაიონის ეკონომიკის აღმავლობისათვის. საერთოდ კი, რომელ სამინისტროსაც უნდა ექვემდებარებოდეს იგი, მის ხელმძღვანელებს ერთი რამ უნდა ახსოვდეთ: აუცილებელია ამთავითვე იზრუნონ დაფხვნილი დიატომიტის წარმოების გადიდებაზე. დიატომიტის საბადოსთან არსებული ძველი საფხვნელი საამქრო წელიწადში 14 ათასი ტონა დაფხვნილი დიატომიტის გამოშვებას ძლივს აუდის. ქვეყნის მრეწველობაში დაფხვნილ დიატომიტზე გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი უთუოდ საჭიროა ახალი მძლავრი საფხვნელი საამქროს ან ქარხნის აგება.

საბადოში დიდი რაოდენობით მოიპოვება ტუფ-დიატომიტი, რომელიც დღემდე თითქმის გამოუყენებელია. იგი თურმე მინერალური სასუქების საუკეთესო შემავსებელი ყოფილა და შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ ფხვნილს განუსაზღვრელი რაოდენობით მოითხოვს. სამისოდ საჭიროა ქარხანა აშენდეს ქალაქ ვალეში, სადაც არის რკინიგზის უტაკადა და, შრომითი რესურსები. აქვე რკინიგზის ესტაკადასთან შეიძლება აიგოს საფილტრე დიატომიტის ფხვნილის ახალი საამქრო ან ქარხანა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

8 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

სესიაზე განიხილავენ ნაწარმოებებს, რომლებიც დაშვებულია სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში, და მათი საზოგადოებრივი განხილვის შედეგებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დავეყრდნოთ მიღწეულს

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე წითელწყაროს რაიონში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 20 პროცენტით გაზარდეს. აქ ახორციელებენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ დასახულ ღონისძიებათა კომპლექსს და ამის შედეგად უზრუნველყვეს 4,6 მილიონი მანეთი წმინდა მოგება. შრომის ნაყოფიერება 26 პროცენტით გაიზარდა. გასული ორი წლის განმავლობაში სამარცვლე კულტურების დამზადების გეგმა, მაგალითად, 105 პროცენტით შესრულდა მაშინ, როცა 1981-1982 წლებში 85 პროცენტი იყო.

ასეთი კონკრეტული საქმეებით უპასუხეს წითელწყაროელებმა წლინახევრის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე რაიონის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. ამ პლენუმზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები, მაშინ, კერძოდ, შეშფოთებით აღინიშნა, რომ დაისახა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შენელებისა და ამავე დროს მისი ანაზღაურების ფონდის მკვეთრი გადიდების ტენდენცია.

მაგრამ წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ყველა რეზერვია ამოქმედებული? კიდევ რა უნდა გაკეთდეს არსებული დისპროპორციების აღმოსაფხვრელად? ეს კითხვები დაისვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც განიხილა წითელწყაროს რაიაღმასკომის მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის.

სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს მიღწევები და ამავე დროს ძირითადი ყურადღება დაუთმეს ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. აღინიშნა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი სრულად ვერ იყენებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში მისთვის მინიჭებულ უფლებებს, ერთმანეთს ვერ უხამებს ტერიტორიულ და დარგობრივ მართვის პრინციპებს. მის სხდომებზე იშვიათად იხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, დარგის რენტაბელობის გაზრდა, მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტაში აგროსამრეწველო გაერთიანების როლის გაძლიერება.

მიღებულ გადაწყვეტილებაში პრეზიდიუმმა დაავალა რაიონული საბჭოს აღმასკომს უზრუნველყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნისა და წინადადების განხორციელება, ყოველი ღონე იხმაროს, რათა რაიონის მშრომელებმა შეასრულონ მიმდინარე ხუთწლედის საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXVII ყრილობას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომმა უფრო უნარიანად უნდა გამოიყენოს ეკონომიკის მართვაში მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები, გაზარდოს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაში. (საქინფორმი).

„მწვანე ბაზრის“ საიდუმლოებანი

„კომუნისტის“ რეიდი

ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზარს „მწვანე ბაზარს“ ეძახიან, არა გვგონია ასეთი სახელწოდებით ბაზარი საქართველოში სხვაგანაც იწოდებოდეს. ამბობენ, სტუმარი პირველად აქაურ ბაზარს მოინახულებს გულისა და თვალის გასახარადო.

ყოველდღიურად ათასობით ადამიანი მოდის ბაზარში, რომელიც ქალაქის ცენტრში, ყველაზე ხელმისაწვდომ და მოსახერხებელ ადგილზეა. მას ფილიალებიც აქვს ნინოშვილის ქუჩაზე, ავტოქარხნის დასახლებაში და საფიჩხიაზე, მაგრამ იქ იშვიათად ნახავთ ხალხმრავლობას. ძირითადად ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ ცენტრალურ ბაზარს ეტანება. უქმე დღეებში კი აქ, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს.

საკოლმეურნეო ბაზრებში ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებები, რომლებიც ახლა ჩვენში ხორციელდება, ნამდვილად რომ სასიკეთო გავლენას ახდენს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაზე. ამიტომ არის, რომ ამ სიახლეებს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები. მაგრამ ზოგ-ზოგნი მაინც ვერ ეგუებიან ახალ წესებს და მრუდე გზით სიარულს ამჯობინებენ. ყოველივე ეს მკვეთრად იგრძნობა ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის დღევანდელ ცხოვრებაში, რაც სავსებით დაადასტურა ჩვენს მიერ ამ დღეებში მოწყობილმა რეიდმა.

თავიდან საქმის გაცნობით დავრწმუნდით, რომ აქაურ ბაზარში ბევრი სიახლეა. უწინარესად აღსანიშნავია, რომ შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ქალაქისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების, ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს, საფინანსო, სანიტარიული და ვეტერინარული სამსახურების წარმომადგენლებისგან. შემუშავდა ღონისძიებათა გეგმა მაკონტროლებელი ორგანოებისათვის. ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებით სისტემატურად ეწყობა გადაცემები ვაჭრობის ახალი წესების შესახებ, ერთი სიტყვით, ახსნა-განმარტებითი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ სასურველი შედეგები ჯერ მაინც არ არის.

ხშირად გაცემულ ცნობებს თვითნებურად ასწორებენ, ვადას უმატებენ, აყალბებენ. მაგალითად, ცაგერის რაიონის სოფელ უსახელოს საბჭოთა მეურნეობის მუშამ ნუცა გიგოს ასულმა ქომეთიანმა გაცემული ცნობა 2 აგვისტოდან 10 აგვისტომდე თვითნებურად გადაასწორა 8 აგვისტოდან 16 აგვისტომდე. ასევე ყალბი, გადასწორებული ცნობით მოვიდა ბაზარში მისივე მეზობელი ნანული აბელის ასული ქომეთიანი, გადასწორებული ცნობა აღმოაჩნდა წყალტუბოს ზონის მაღლაკის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას გურამ შალვას ძე ყორყოლიანს.

საკოლმეურნეო ბაზრის გაერთიანების სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა ბევრი ყალბი ცნობა გამოავლინა. ამასთან დაკავშირებით წერილობითი მიმართვები გაეგზავნათ თერჯოლის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ვანის, წყალტუბოს ზონის შინაგან საქმეთა განყოფილებებს; ამასთან დაურთეს დამნაშავე პირთა სია და სთხოვეს განყოფილებებს სათანადო რეაგირება. სამწუხაროდ, პასუხი არც ერთ გაგზავნილ ასეთ წერილზე დღემდე არ მიუღიათ.

ვაჭრობის ახალი წესების შემოღებამდე ყველა გრძნობდა, რომ ბაზარი უმეტესწილად სპეკულანტების ხელში იყო. ახლა, ცხადია, მტკიცე ღონისძიებანი ხორციელდება ქორვაჭრებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ. ბევრი სპეკულანტი (მათი რიცხვი 30-ს აღემატება) განიდევნა ბაზრიდან. მრავალი გასამართლდა კიდეც, მაგრამ ქორვაჭრობა და სპეკულაცია შენიღბული სახით მაინც მოქმედებს, ბაზრის შემოგარენში სპეკულანტები კვლავ და კვლავ დაძვრებიან, უკავშირდებიან რა ვიღაც-ვიღაცეებს, ახერხებენ შესყიდული პროდუქტების გადაყიდვას. მაგალითად, ზოგჯერ სოფლის მცხოვრებზე გაცემული ცნობა იუწყება, რომ მას უფლება აქვს გაყიდოს ხახვი, ფაქტობრივად კი ხახვი მას არასოდეს არ მოუწევია, და ეს ცნობა შეიძლება სოფლის ხელმძღვანელთა გულუბრყვილობით ან ზოგჯერ ანგარებითაც კი მოიპოვა. ცხადია, შემდეგ იგი სპეკულანტმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ალბათ, ესეც არის იმის მიზეზი, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ჯერჯერობით ბაზარზე საკმაოდ ძვირია.

საინტერესო ცნობებს წავაწყდით საკოლმეურნეო ბაზრის დირექციაში. აქ ყოველდღიურად აღირიცხება როგორც მოვაჭრეთა, ასევე შემოტანილი პროდუქტების რაოდენობა და ფასები, ეს ციფრები შეჯერებულია წინა წლის მონაცემებთან. მაგალითად, აგვისტოში აღირიცხა, რომ საკოლმეურნეო ბაზარში ყოველდღიურად წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 500 კაცით ნაკლებმა ივაჭრა. ასევე წინა პერიოდთან შეფარდებით ნაკლები პროდუქტები მიეყიდა მოსახლეობას და შედარებით უფრო ძვირად.

თურმე ნუ იტყვით, სოფლის მოსახლეობას ქუთაისში უნიფიცირებული ცნობების გარეშე ვაჭრობის სხვა ადგილებისთვისაც მიუგნიათ. უწინარესად ასეთ ადგილად დაგვისახელეს აბაშიძის ქუჩა. და აი, რეიდის მონაწილეები ამ ქუჩას ვესტუმრეთ. დილით-მზისით ნამდვილი ბაზრობა გაუმართავთ. აქ უმთავრესად პროდუქტები შემოაქვთ მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ვანის რაიონების მცხოვრებთ. მაგალითად, რეიდის დღეს პამიდორი, ხახვი, ყურძენი, ყველი და სხვადასხვა პროდუქტები გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის მცხოვრებლებს ზაირა მამასახლისსა და ელენე თათელაშვილს, ვანის რაიონის სოფელ გორა-ზეინდრის მცხოვრებს ვენერა გიორგაძეს და სხვებს.

როგორც გადმოგვცეს, ამ უბნის მოსახლეობამ დააყენა საკითხი აქ საკოლმეურნეო ბაზრის ფილიალის გახსნის შესახებ. ვფიქრობთ საჭიროა დაჩქარდეს ამ საქმის მოგვარება.

ასე ფართოდ არა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ფაქტები ქალაქის სხვა ქუჩებშიც შეიმჩნევა. ასეა, მაგალითად, საფიჩხიაზე, მე-8 საშუალო სკოლის წინ, და სხვა ადგილებში.

ჩვენ გავესაუბრეთ სოფლისა და ქალაქის მრავალ წარმომადგენელს. მათი აზრით, საჭირო იქნება საკოლმეურნეო ბაზრებში წესრიგის განმტკიცებისათვის დაწყებული დიდი მუშაობა გაფართოვდეს და დაიხვეწოს. უწინარეს ყოვლისა ისინი აყენებენ საკითხს, რომ სოფლებში გაცემულ უნიფიცირებულ ცნობებს ორგანიზებული ხასიათი მიეცეს. სოფლის ხელმძღვანელობამ არა მარტო უნდა იზრუნოს ამ ცნობების ოპერატიულად გაცემისათვის, არამედ გააფართოოს ღონისძიებანი ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარში ორგანიზებულად შემოზიდვისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა ყოველ დღე საქმის კურსში უნდა იყოს, ვინ აპირებს ბაზარში წასვლას, რამდენი პროდუქტი აქვს მომარაგებული სარეალიზაციოდ, რათა დაეხმაროს ტრანსპორტითა და სხვა საშუალებებით; ხოლო საკოლმეურნეო ბაზრის დირექცია ვალდებულია ასევე ორგანიზებულად მიიღოს კოლმეურნეები და სოფლის მშრომელები, გაუწიოს კეთილსინდისიერი მომსახურება სათანადო სავაჭრო ადგილების გამოყოფითა და სხვა საშუალებებით.

მშრომელთა აზრით, აუცილებელი და სასარგებლო იქნება გაფართოვდეს და განმტკიცდეს საკოლმეურნეო ბაზრებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ურთიერთობა სახელშეკრულებო ვალდებულებების მეშვეობით. ბაზრის ხელმძღვანელობა დღესაც აფორმებს ხელშეკრულებებს საზოგადოებრივი მეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვაზე. მაგალითად, ასეთი ხელშეკრულებები ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის დირექციას გაფორმებული აქვს სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, წულუკიძისა და ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის 22 საზოგადოებრივ მეურნეობასთან, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულება, სათანადო იურიდიული სანქციის გარეშე, ფარატინა ქაღალდად რჩება. როგორც გვითხრეს, საკოლმეურნეო ბაზრის ხელმძღვანელობამ ბაზრის ტერიტორიაზე მოაწყო მშვენიერი საფირმო მაღაზია-პავილიონი ასეთი მომსახურებისათვის, რაზეც 5 ათასი მანეთი დაიხარჯა, მაგრამ ამ ობიექტს დღემდე ვერ იყენებენ ჯეროვნად.

რეიდის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ბაზარში ზოგნი დიდძალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იძენდნენ და მიეზიდებოდნენ. დავინტერესდით ამ ფაქტით. ისინი აღმოჩნდნენ ქუთაისსა და მის ახლო-მახლო მდებარე რაიონებში განლაგებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელები. (მაგალითად, თერჯოლის ექსპერიმენტული რესტორანი, რესტორანი „გელათი“ და სხვანი). ყოველივე ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მუშათა სასადილოების გარდა ახლო-მახლო განლაგებული თითქმის ყველა რესტორანი და სასადილო ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრიდან ეზიდება პროდუქტებს.

განა ეს არ აძვირებს ბაზარს?

ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაკთა ასეთი მოქმედება უნდა აღიკვეთოს, ბოლოს და ბოლოს ყიდვა-გადაყიდვა ხომ სპეკულაციის ტოლფასია. საჭირო იქნება ცეკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებმა უფრო გონივრული საშუალებანი გამონახონ თავიანთი ობიექტების მომარაგებისათვის.

ჩვენ ისიც გვითხრეს, რომ საბაზრო ფასებზე დიდ გავლენას ახდენს ქორწილები და ქელეხები. მართალია, თანდათან ეს მავნე ჩვევები უკან იხევს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არის იმის მაგალითები, როცა ასეთი სუფრები ხშირად იმართება.

იმის ფაქტებიც არის, როცა ბაზრიდან განდევნილმა სპეკულანტებმა ქორწილებში და ქელეხებში გადაინაცვლეს. ისინი წინასწარ ურიგდებიან ამ სუფრების გამწყობთ, ჯერ კიდევ ახერხებენ პროდუქტების ბაზრებში შეძენას და ამ გზით სპეკულაციას.

ახლებურად მუშაობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო ბაზრებთან არსებული მომარაგების ბიუროების მუშაობას. ასეთი სახის ბიურო ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზართანაც შეიქმნა. აქ 16-ზე მეტი მუშაკი საქმიანობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიუროს არ გააჩნია საკმარისი სასაწყობო მეურნეობა, მოკლებულია შესაძლებლობას ხელი შეუწყოს პროდუქტების შეძენა-რეალიზაციას.

აქვე არ შეგვიძლია გულისტკივილით არ ვთქვათ ბაზრის მომსახურე პერსონალზე, მით უფრო —ბიუროს მუშაკებზე. აქ იგნორირებულია კომუნისტთა როლი, ავანგარდობა. მაგალითად, ბიუროს შემადგენლობაში არც ერთი კომუნისტი არ მუშაობს, ამიტომაც მისი მუშაკები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

ბოლო წლებში განახლდა და გაიზარდა ქუთაისი, მაგრამ ოციან წლებში აგებული ბაზრის ტერიტორია თითქმის იგივე დარჩა. ახლა ბაზრის ტერიტორია 10 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, მაგრამ აქ სასოფლო-სამეურნეო პავილიონებს გარდა უამრავი სამრეწველო, კოოპვაჭრობის, ხილბოსტნეულვაჭრობის, საათიაქო, სასურსათო, თევზისა და პურის, სამეურნეო საქონლის მაღაზიები, სამკერვალო ატელიეები და საპარიკმახეროებია მოთავსებული. ერთი სიტყვით, მომხმარებლის გარეშეც კი ისეა გაჭედილი ბაზარი, რომ გავლაც გაგიჭირდებათ. ამას ემატება უწესრიგობა ბაზრის შესასვლელებთან. 1905 წლის რევოლუციის ქუჩა, რომელიც ბაზარს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება, ორივე მხრიდან ისეა ჩახერგილი მსუბუქი ავტომანქანებით, რომ ამ ცენტრალურ მაგისტრალზე საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა ძალზე შეფერხებულია. ასევეა ბაზრის ირგვლივ მდებარე სხვა ადგილებში.

სწორედ ამიტომაც დგას დღის წესრიგში ახალი საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობის საკითხი, გამოყოფილია ტერიტორია, საჭიროა დაჩქარდეს საპროექტო სამუშაოები და დროულად დაიწყოს მშენებლობა.

და მაინც, სანამ ახალი ბაზარი აშენდებოდეს, მაქსიმალურად უნდა განიტვირთოს სხვა ობიექტებისაგან ძირითადში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოვაჭრე ეს ბაზარი.

რეიდის მონაწილენი: გ. გეგუჩაძე — ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრების გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, ავ. კუხიანიძე — ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი, ლ. კირთაძე — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ვ. აბზიანიძე — მშენებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ს. მაღლაფერიძე — გაზეთ „ქუთაისის“ მუშაკი, დ. გედენიძე — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ხუროთმოძღვარი



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების განყოფილების მთავარი ინჟინერი ამხ. კახა ივანეს ძე ჯავახიშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კახა ჯავახიშვილის დაბადების

70 წლისთავის გამო

დიდი და მრავალმხრივი ნიჭით და ფანტაზიით, გამორჩეული შრომისუნარიანობით დაჯილდოებული, ურთიერთობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში უბრალო, თავმდაბალი და მიმზიდველი ადამიანია ქართული შემოქმედი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხუროთმოძღვარი, რესპუბლიკაში ქალაქგეგმარების საპროექტო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი კახა ივანეს ძე ჯავახიშვილი, რომელსაც ახლახან დაბადების 70 და შრომითი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა და აღიზარდა ქართული საისტორიო მეცნიერებისა და თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის ოჯახში.

1936 წელს, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ახალბედა არქიტექტორმა მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის არქიტექტურულ საპროექტო სახელოსნოში, ხოლო შემდეგ საპროექტო ორგანიზაცია „საქკომუნპროექტში“ გადავიდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე კახა ჯავახიშვილი მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში, მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის მოადგილედ, ჩრდილო კავკასიის ფრონტის სამხედრო-აღდგენითი სამუშაოების სამმართველოს საინჟინრო-სანგრიშო განყოფილების უფროსად, საგზაო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტ „გზაპროექტში“ ინჟინერ-არქიტექტორის თანამდებობაზე.

ომის დამთავრების შემდეგ ქ. ჯავახიშვილი სამუშაოდ გაგზავნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსად და ქალაქ ბათუმის მთავარ არქიტექტორად, სადაც 8 წელი იმუშავა. შემდეგ იყო კავკასიის სახელმწიფო საძიებო ინსტიტუტის „კავტრანსპროექტის“ სამოქალაქო ნაგებობათა განყოფილების მთავარი არქიტექტორი. 1961–1969 წლებში კი იგი საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მეთაური საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ ქალაქგეგმარების არქიტექტურულ სახელოსნოს ხელმძღვანელობდა.

ამ პერიოდში უფრო სრულად გამოიკვეთა მისი ხალასი ნიჭი და ჩამოყალიბდა იგი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი არქიტექტორი.

ქ. ჯავახიშვილმა, — გამოცდილმა შემოქმედმა არქიტექტორმა შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების საინტერესო და ორიგინალური პროექტები, მათ შორის ქალაქ ბათუმის, ქობულეთის და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის დაგეგმარების, რეკონსტრუქციისა და განაშენიანების გენერალური გეგმები, რევოლუციის მუზეუმი და ბათუმის ზღვისპირა პარკში საზაფხულო კინოთეატრის შენობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი თბილისში და სხვ.

1969 წელს ქ. ჯავახიშვილი გადაიყვანეს საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში, სადაც იგი რესპუბლიკის ქალაქების, კურორტებისა და დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების მეტად საჭირო და პასუხსაგებ საქმეს ხელმძღვანელობს, არის საქართველოს სსრ სახმშენის კოლეგიის წევრი.

იგი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის შემოქმედი და ტექნიკური ინტელიგენციის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წლების მანძილზე ქ. ჯავახიშვილი საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და ქალაქ თბილისის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მთავარი სამმართველოს არქიტექტურულ-ტექნიკური საბჭოების უცვლელი წევრია. სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის და მისი შემოქმედებითი სექციების მუშაობაში, მრავალ კომისიაში ქალაქგეგმარებისა და განაშენიანების მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სამეცნიერო-თეორიულ და ტექნიკურ-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სესიებში.

დიდია ქ. ჯავახიშვილის დამსახურება რესპუბლიკის ახალგაზრდა არქიტექტორთა, ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების სპეციალისტთა კადრების აღზრდასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა ქ. ჯავახიშვილის მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა და მოღვაწეობა. იგი შრომის ვეტერანი და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

ყველა მისი მეგობარი და პატივისმცემელი, ეს წრე კი, მართლაც რომ, ფართოა, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს ბედნიერებითა და წარმატებებით აღსავსე ცხოვრებას კაცს, რომელიც აგერ ნახევარი საუკუნეა, უშფოთველად და უანგაროდ ემსახურება საყვარელ საქმეს, სამშობლოსა და ერის კეთილდღეობას.

თ. ქუთათელაძე,
საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები

8 ოქტომბერი ● საკდესი იუწყება

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პროგრამა

გამოხმაურება

ბევრი ქვეყნის წამყვანი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, განაგრძობენ რა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგების განხილვასა და განმარტებას, მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის ახალ მასშტაბურ საგარეო-პოლიტიკურ წინადადებებს. საზღვარგარეთულ გამოხმაურებებში აღნიშნულია, რომ აფეთქებასაშიში საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პროგრამის რეალიზაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა დასახა, საგრძნობლად დააახლოვებდა ესოდენ სასურველ მიზანს — ბირთვული იარაღის აკრძალვასა და სრულ ლიკვიდაციას, ხელს შეუწყობდა კაცობრიობის ხსნას ბირთვული ომის საფრთხისაგან. საზოგადოებრიობის ფართო წრეებში გამოთქვამენ რწმენას, რომ ბოლო თვეებში წამოყენებული მთელი რიგი ინიციატივებით და, უწინარეს ყოვლისა, ცალმხრივი წესით გადადგმული ნაბიჯებით, სსრ კავშირმა საქმით დაადასტურა, რომ მზად არის გონივრული კომპრომისებისათვის და დასავლეთისაგანაც კონსტრუქციულ პასუხს მოელის.

ვიზიტის შედეგები კვლავ საფრანგეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები ხაზს უსვამენ აზრს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარება და გაღრმავება, საამისოდ ყველა არსებული რეზერვის გამოყენება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებს, ხელს უწყობს საერთაშორისო ატმოსფეროს ნორმალიზაციას, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის აღდგენას. „განვლილ კვირას პარიზი იყო ისეთ მოვლენათა ადგილი, რომელთა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია“, — წერს ვიზიტის შედეგების შეჯამებისას ყოველკვირეული „ლუმანიტე-დიმანში“. სტატიაში სათაურით „მშვიდობის დესპანი“ გაზეთი ხაზს უსვამს, რომ კონფრონტაციის შესუსტების, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნების გზაზე გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მთლიანად უნდა დაუჭირონ მხარი მუშათა კლასმა, მთელმა დემოკრატიულმა და მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობამ.

„საბჭოთა ხელმძღვანელის ვიზიტმა პარიზში წარმატებით ჩაიარა, — აღნიშნა საფრანგეთის ტელევიზიის „ტფ-1“ პროგრამის წამყვანმა. — ამ ვიზიტმა ხელი შეუწყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას. მომავალში ეს, უთუოდ მოახდენს პოზიტიურ გავლენას მოსკოვისა და პარიზის ურთიერთობაზე. სსრ კავშირის მიერ გამალებული შეიარაღების დამღუპველი პროცესის შეჩერებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით გადადგმულმა ნაბიჯებმა, რომლებიც გააცნო მ. ს. გორბაჩოვმა პრეზიდენტ ფ. მიტერანს, უკვე მიიპყრო ყურადღება მთელ მსოფლიოში. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი წინადადებით, რომ მოლაპარაკონ ორივე მხარისთვის დამკვიდრებელი კოსმოსური შეიარაღების სრული აკრძალვისა და იმის შესახებ, რომ ნამდვილად რადიკალურად — 50 პროცენტით შეამცირონ ბირთვული იარაღი, რომელიც ერთმანეთის ტერიტორიას წვდება“. საფრანგეთის „ანტენ-2“ ტელეკომპანიის კომენტატორმა დაასკვნა: „მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა რამდენიმე შორს გამიზნული იდეა, რომლებსაც მისი დასავლელი ოპონენტები იოლად ვერ უგულებელყოფენ. საბჭოთა ხელმძღვანელმა ფრანგებზე მოახდინა ძლიერი, გულახდილი და ენერგიული კაცის შთაბეჭდილება, რომელსაც შეუძლია დიალოგის წარმოება“.

„საბჭოთა კავშირის ინიციატივებმა, — წერს ბელგიის უდიდესი გაზეთი „სუარი“, — უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთის საზოგადოებრივ აზრზე. ამ ინიციატივებმა დაინტერესებული მთავრობების ფართო დადებითი რეაქცია გამოიწვია. ახალი საბჭოთა წინადადებების მთელი კომპლექსი ფრიად მასშტაბურია. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება წინადადებას, რომ სანახევროდ შემცირდეს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღი, რომელსაც ერთმანეთის ტერიტორიის მიღწევა შეუძლია. ამ ციფრმა, რომ იტყვიან, აალეწა დასავლეთის საზოგადოებრიობის წარმოსახვა“.

ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ ქვეყნის მთავრობა მიესალმება და დიდად აფასებს ახალ საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებს. „ბირთვული ძალების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის გამიზნული ეს წინადადებები შეიძლება გადამწყვეტ წინგადადგმულ ნაბიჯად იქცეს განიარაღების დარგში, — აღნიშნულია დოკუმენტში. — ორი დიდი სახელმწიფოს მიერ ბირთვული იარაღის შეთანხმებული შემცირება ხელს შეუწყობს ევროპაში უშიშროების მატებას, გამორიცხავს ყოველგვარ გამალებულ შეიარაღებას როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსში“.

როგორც ხაზს უსვამს ინგლისის **„გარდიანი“**, „პარიზში ყოფნისას საბჭოთა ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ მოუწოდა დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს დაუბრუნდნენ დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო საქმეებში და მოსთხოვა მათ, ამაღლდნენ აღმოსავლეთთან უთანხმოებაზე, რათა გამოიძებნოს შეიარაღებისადმი კონტროლის დიდმნიშვნელოვანი საკითხებისა და სხვა სასწრაფო პრობლემების კონსტრუქციული გადაწყვეტები“. ინგლისის მეორე გაზეთი, **„ობსერვერი“**, სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს: „ახლა, როცა ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრამდე სულ რამდენიმე კვირა დარჩა, შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს აღარა აქვთ უფლება, მცდარი პასუხი გასცენ მ. ს. გორბაჩოვის პარიზში წამოყენებულ ინიციატივებს და ამით საფრთხე შეუქმნან მომავალ თაობებს. საბჭოთა ხელმძღვანელის წინადადება ბირთვული არსენალების სანახევროდ შემცირების თაობაზე იმდენად მრავლისშემცველია, რომ მას პატიოსნად და გულწრფელად უნდა გამოეხმაურონ. რაც შეეხება პრეზიდენტ რ. რეიგანს, თუ იგი არ დათანხმდება თავისი „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის გადასინჯვას, მაშინ ვაშინგტონი აშკარად გაუშვებს ხელიდან გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საუცხოო შესაძლებლობას“.

დასავლეთ გერმანიის **„გენერალ-ანცაიგერმა“** გამოაქვეყნა ინტერვიუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწესთან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილესთან **ჰ. ემკესთან**, რომელმაც განაცხადა: „მ. ს. გორბაჩოვის წინადადებები უდიდეს შესაძლებლობებს იძლევიან იმისათვის, რომ, ბოლოს და ბოლოს დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთისა და ბრიტანეთის ბირთვული იარაღის თაობაზე. ახლა ეჭვგარავინ დახუჭავს თვალს იმაზე, რომ ამ ქვეყნების ბირთვული არსენალები არსებობს და რომ ისინი იზრდება, თანაც საკმაოდ სწრაფად. ამიტომ, ჩემი აზრით, უშუალო მოლაპარაკების მოწყობა სწორი ნაბიჯია. დასავლეთევროპელებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უნდა მოსთხოვონ აგრეთვე, რომ მან შესაბამისად უპასუხოს სსრ კავშირის წინადადებებს კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების თაობაზე“.

ფოტოინფორმაცია

● გვატემალა

საპროტესტო მანიფესტაციები

გვატემალის დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები გაიმართა სიძვირის დაუოკებელი ზრდის გამო. ხალხის გამოსვლების ჩასახშობად მეხის პროამერიკულმა რეჟიმმა გამოიყვანა პოლიციის სპეციალური ქვეგანაყოფები, რომლებმაც დემონსტრანტთა წინააღმდეგ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. ათობით კაცი დაშავდა. მანიფესტაციის რამდენიმე ასეული მონაწილე დაპატიმრებულია. გვატემალის პროფკავშირებმა და სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა აღშფოთებით დაგმეს პოლიციის სისხლიანი რეპრესიები.

სურათზე: დედაქალაქის ქუჩებში.

აფპ-საკდესის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირის კეთილი ნება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის მონაწილე სსრ კავშირის დელეგაციამ კვლავ დაადასტურა, რომ მზად არის მაქსიმალური ძალ-ღონე მოახმაროს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების უსწრაფეს შემუშავებას.

ასამბლეის მეექვსე კომიტეტის (სამართლებრივი საკითხები) სხდომაზე, რომელმაც განიხილა მოხსენება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ეფექტიანობის გაძლიერების შესახებ, საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა შეუდგნენ დეკლარაციის შემუშავებას, რომელშიც დადასტურდება და განვითარდება ბირთვულ-კოსმოსური ერის პირობებში ძალის გამოუყენებლობის პრინციპი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ უთუოდ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი, ბირთვული იქნება თუ ჩვეულებრივი, იარაღის გამოყენება. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ბრაზილიის, ბერუნდის, ლესოტოს, სირიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა.

დეკლარაციის მიღება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მშვიდობის საფუძვლების განმტკიცების, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში, განაცხადა სსრ კავშირის დელეგატმა ვ. თ. პეტროვსკიმ. დარწმუნებული ვართ, რომ, თუ სიტყვით კი არა, საქმით ვეცდებით ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ეფექტიანობის გადიდებას, ეს მნიშვნელოვანი და სასარგებლო დოკუმენტი შეუფერხებლად შემუშავდება, მით უფრო, რომ დეკლარაციის მიღებას ამა თუ იმ ფორმით წინათ მხარი დაუჭირეს სახელმწიფოთა ყველა ჯგუფის, უწინარეს ყოვლისა მიუმხრობლობის მოძრაობის წარმომადგენლებმა. ამით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების დადების გზაზე.

უშიშროების საბჭოს მოთხოვნა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა, რომ სამხრეთ აფრიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიის ყველა აქტი ანგოლის წინააღმდეგ და უპირობოდ და დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები ოკუპირებული ანგოლის ტერიტორიიდან.

საბჭო მოიწვიეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თხოვნით, რომელიც მსხვერპლი გახდა რასისტთა აგრესიის მორიგი აქტისა, რასისტებმა რომ განახორციელეს, რათა სამხედრო ძალით გაემაგრებინათ ზურგი პრეტორიის მიერ ორგანიზებული და აღჭურვილი უნიტას კონტრრევოლუციური ბანდებისათვის. წინასწარ განზრახული და არაპროვოცირებული აგრესიის ამ აქტს, აგრეთვე ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას უშიშროების საბჭომ ანგოლის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა უწოდა და განაცხადა, რომ სერიოზული საფრთხე ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

რეზოლუციაში დადასტურებულია ანგოლის უფლება, განახორციელოს ყველა ღონისძიება თავისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვისა და უზრუნველყოფისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. დოკუმენტი კვლავ შეიცავს მოწოდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისადმი საჭირო დახმარება გაუწიონ ანგოლას, რათა მან განიმტკიცოს თავდაცვისუნარიანობა სამხრეთ აფრიკის აგრესიის აქტების ესკალაციის საწინააღმდეგოდ. რეზოლუციის ამ პუნქტის გამო კენჭისყრის დროს თავი შეიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

უშიშროების საბჭომ სთხოვა მის მიერ ორი კვირის წინათ შექმნილ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ავსტრალიის, ეგვიპტისა და პერუს წარმომადგენლები, სასწრაფოდ წარმოადგინოს მოხსენება, რომელშიც შეფასებული იქნება სამხრეთ აფრიკის აგრესიის შედეგად ანგოლისათვის მიყენებული ზარალი.

● სომალი

ტრაგედია მოგადიშოს ნავსადგურში

ნაირობი. კრიზისული ვითარება შეიქმნა სომალის დედაქალაქის მოგადიშოს ნავსადგურში, სადაც დგას დაზიანებული გემი „არიადნა“, რომლიდანაც ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებანი ჟონავს. პანამაში რეგისტრირებული ეს ხომალდი მიმდინარე წლის აგვისტოს დამლევს გარეთა მოლოს მახლობლად გაირიყა, რამდენიმე ადგილას ნახვრეტი გაუჩნდა და სხვა სერიოზული დაზიანება მიიღო. როგორც ნავსადგურის წარმომადგენელი იუწყება, მის ტრიუმში სულ ცოტა 2 ათასი ტონა შხამიანი ქიმიკატია.

კატასტროფის შედეგად დაიწყო აკვატორის ძლიერი გაჭუჭყიანება და სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გაჭუჭყიანების არე კიდევ უფრო გაფართოვდება. სერიოზული საშიშროება შეექმნა ზღვის ფლორასა და ფაუნას. ხელისუფლებმა კატეგორიულად აკრძალეს ნავსადგურის რაიონში თევზის ჭერა, ახლომდებარე უბნების მცხოვრებნიც გააფრთხილეს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს ევაკუაცია. მოწამლულ ზონაში 800 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს.

კვლავ მოსალოდნელია „არიადნას“ აფეთქება, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ერთ-ერთმა ექსპერტმა. ამას წინათ გემზე უკვე მოხდა ხანძარი, მაგრამ ეკიპაჟმა, მაშველმა რაზმებმა და ჯარის ქვეგანაყოფებმა შეძლეს ჩაექროთ ხანძარი და ამოექოლათ რამდენიმე ნახვრეტი საწვავიან ჭურჭელში. უშედეგოდ დამთავრდა მრავალგზისი ცდა მოეხსნათ ხომალდი მეჩეჩიდან ვერტმფრენების, ამწეებისა და მძლავრი ბუქსირების მეშვეობით.

ვაშინგტონის ხელოვნური არგუმენტაცია

ვენა. სოციალისტური ინტერნაციონალი შეშფოთებას გამოთქვამს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საშიშროების გამო და გმობს შეერთებული შტატების ეგრეთწოდებულ „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასა“ და სხვა „მსგავს კონცეფციებს“, განაცხადა სოციალისტური ინტერნაციონალის განიარაღების საბჭოს მდივანმა ვ. ჰაკერმა. მან განაცხადა, რომ არც ერთმა მხარემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამგვარ გეგმებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ 16—17 ოქტომბერს ვენაში გაიმართება სოციალისტური ინტერნაციონალის განიარაღებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ვ. ჰაკერმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ფორუმი ჩაივლის ლოზუნგით „მსოფლიოს აქტუალური პრობლემები იარაღით ვერ გადაწყდება.“

საფრანგეთის დღეები საქართველოში

დელეგაცია ჩამოვიდა

7 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის დღეებში, ჩვენს რესპუბლიკაში რომ იხსნება. დელეგაციას მეთაურობენ ამ ასოციაციის პრეზიდენტის საბჭოს წევრები ლუი ბაიო და ფრანსუა ლუშერი.

დღეების მანძილზე რესპუბლიკის მცხოვრებლებს მიეცემათ შესაძლებლობა ფართოდ გაეცნონ საფრანგეთის დღევანდელ ცხოვრებას, მის კულტურასა და ხელოვნებას. თბილისის კინოთეატრებში გაიმართება ფრანგული კინოს კვირეული. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება გამოფენა „საფრანგეთი ქართველ მხატვართა შემოქმედებაში", ხოლო კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყობა საფრანგეთისადმი მიძღვნილი ქართული წიგნების ექსპოზიცია.

სტუმრები გაეცნობიან თბილისის, მცხეთის, გორისა და ფასანაურის მუზეუმებსა და ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ეწვევიან თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას. დღეების მონაწილენი—მწერლები, მეცნიერები, არქიტექტორები, მხატვრები, ექიმები შეხვდებიან თავიანთ ქართველ კოლეგებს.

საქართველოში (საფრანგეთის დღეები დამთავრდება 12 ოქტომბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ფრანგი და ქართველი მსახიობების ერთობლივი კონცერტით.

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

8 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო საფრანგეთის დღეების მონაწილენი.

გულთბილად მიესალმა რა სტუმრებს, ამხ. ჩერქეზიამ აღნიშნა, რომ საქართველოში საფრანგეთის დღეები ეწყობა ღირსშესანიშნავ პერიოდში—ყველა სფეროში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გააქტიურების ფონზე, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტმა საფრანგეთში. მან ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტ მიტერანთან მიხეილ გორბაჩოვის შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის განვითარებისათვის, არამედ პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებისთვისაც.

ამხ. ო. ჩერქეზიამ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მიღწევები, რომლებითაც საქართველოს მშრომელები ამთავრებენ მეთერთმეტე ხუთწლედს. მან პასუხი გასცა რესპუბლიკაში ავტონომიური ფორმირებების ცხოვრებასთან, საქართველოში კულტურის, მეცნიერების, მედიცინის, განათლების განვითარებასთან დაკავშირებულ კითხვებს.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ლუი ბაიომ საფრანგეთის დელეგაციის სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისა და შინაარსიანი საუბრისათვის. მან თქვა, რომ საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტმა, პრეზიდენტ მიტერანთან მისმა მოლაპარაკებამ ხელშემწყობი ნიადაგი შეუქმნა ჩვენი ქვეყნების კონტაქტების განვითარებას, გამოთქვა იმედი, რომ საქართველოში საფრანგეთის დღეები კვლავ ცხადყოფს ჩვენი ხალხების მისწრაფებას მშვიდობიანი კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობისადმი.

საერთო ხსოვნის დღე

8 ოქტომბერს საქართველოში საფრანგეთის დღეების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში.

ეს გვირგვინი ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გმირებისადმი საბჭოთა და ფრანგი ხალხების საერთო ხსოვნის გამოხატულებაა. საქართველოს ბევრი შვილი მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. მათ უკვდავყვეს თავიანთი სახელები შორეული საფრანგეთის მიწა-წყალზე ჩადენილი გმირობით.

ის, რომ აქ მოვედით, ღრმად სიმბოლურია, — თქვა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ფრანსუა ლუშერმა, — ჩვენი ქვეყნები და ხალხები ერთად იბრძოდნენ ფაშისტი მჩაგვრელების წინააღმდეგ. დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, არ ვივიწყებთ, რომ ჰიტლერიზმზე გამარჯვება ჩვენი საერთო მეცადინეობითაა მიღწეული. ომის იმ მძიმე წლებში ჩვენი ხალხების მეგობრობა და მხედრული ძმობა ახალი ძალით გამოვლინდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო ფრანგი მფრინავების ბრძოლა საბჭოთა ცაში და ათასობით საბჭოთა ადამიანის მონაწილეობა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ჩემი თაობის ადამიანებმა, თქვა შემდეგ ფრანსუა ლუშერმა, ძალზე კარგად იციან, რა არის ომი. ჩვენ ხშირად ვუამბობთ მის შესახებ ბავშვებს, რომ დავიწყებას არ მიეცეს წარსული, რომ აღარ განმეორდეს იგი მომავალში. ამიტომაც დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს. წილად მხვდა პატივი მონაწილეობა მიმეღო ჩვენი ასოციაციის ხელმძღვანელობასთან საბჭოთა ლიდერის შეხვედრაში. მან საიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა თავისი გულწრფელობით. მჯერა, რომ ამ ვიზიტის შედეგებმა შეიძლება დასაბამი მისცეს ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში.

გამოფენის გახსნა

პირველად ბავშვების ნახატები ხვდებათ დამთვალიერებლებს საფრანგეთის დიდ გამოფენაზე, რომელიც 8 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში.

— და ეს შემთხვევითი არ არის, — თქვა გამოფენის გახსნისას საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გ. ქ. გუნიამ, — მათ ხომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კულტურული დიალოგი უნდა განაგრძონ მომავალში.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ თქვა, თუ რა ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში საფრანგეთის დღეები მიმდინარეობს საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის შემდეგ. ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობას, მეგობრობის საზოგადოებებს, თქვა მან, ახალი პერსპექტივები ესახებათ კულტურული გაცვლის საქმეში.

— იმედი გვაქვს, — თქვა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ლუი ბაიომ, — რომ საფრანგეთის ხელოვნება მოეწონებათ თბილისელებს, ისევე როგორც პარიზელებს მოეწონათ თქვენი ხალხის თვითმყოფადი ხელოვნება. მას გავეცანით ჩვენს ქვეყანაში საქართველოს დღეების დროს ორი წლის წინათ.

გამოფენა გვაცნობს ქალაქ ჰავრის ხელოვნების მუზეუმის ლითოგრაფიებსა და ოფორტებს. აქ არის ცნობილი ფრანგი მხატვრის ფერნან ლეჟეს, სახვითი ხელოვნების თანამედროვე ოსტატთა ნაწარმოებები და კერამიკა.

ექსპოზიციის დიდი ნაწილი ასახავს ფრანგული არქიტექტურის განვითარების უახლეს ტენდენციებს.

სურათზე: სსრ კავშირ-საფრანგეთის დღეების მონაწილენი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სახალხო დღესასწაულებზე

იმრავლონ შატილიონთა

არხოტის მთების მწვერვალებით მკაფიოდ მოხაზულ ცის შავ კვადრატში მოგიზგიზე კოცონის ნაპერწკლები აიჭრა. შატილობის მეოთხე დღესასწაული მთას უგზავნიდა მხურვალე სალამს, რომლის სიმხურვალესაც კიდევ უფრო აძლიერებდა ხევსურთა სახლებში შარშან გაღვივებული ჩვიდმეტი ახალი კერიის ცეცხლი. ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ა. ანდრონიკაშვილი და ნ. ა. ჭითანავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. პ. იგნატოვსკი.

პროჟექტორების შუქმა წყვდიადიდან გამოიტაცა მოცეკვავეთა ფიგურები. აქ თავი მოუყრიათ დედაქალაქის მსახიობებსა და დუშელ მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებს.

დიდი გარჯისა და ჯაფის ფასად უბრუნდება სიცოცხლე ძველებურ კოშკებსა და ახალ სახლებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში გაჩნდა პატარა პლატოზე, მზისგულს რომ ეფიცხება. მეორე განთიადი დაუდგა სოფელსაც და მის მკვიდრთაც.

გიორგი ჭინჭარაული ბავშვი იყო, 50-იან წლებში უფროსებს რომ ჩაჰყვა ბარად, ახლა კი სამი შვილით დაბრუნდა მთაში. ახალმოსახლის ოჯახი ჯერ კიდევ დაულაგებელია, მაგრამ ამთავითვე იგრძნობა თანამედროვე ყოფის სიკეთე და ლაზათი: სამ ოთახს თითქოს სითბოს მატებსო კოხტა შპალერი, თეთრად ქათქათებს კაფელი სამზარეულოში; და ხის კიბეც სასიამოვნოდ ჭრაჭუნობს ფეხქვეშ, როცა პირველ სართულზე ჩადიხარ დამხმარე სათავსებში. სახლის პატრონი, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 43 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშენებელი, ამხანაგებთან ერთად აგებს თერთმეტ ასეთ სახლს. მათ შორის ერთი წვრილშვილიანი ოჯახისთვის არის განკუთვნილი. წინაპართა მიწაზე კვლავ ირწევა აკვანი.

ამ ზაფხულს შატილს ეწვივნენ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები. ისინი სოფელს მშენებლებად მოევლინენ. მუშაობდნენ ახალ ფერმაში, სადაც ასი ფური იქნება.

სხვაგვარი ცხოვრება დაიწყება ძველთაძველ კოშკებშიც. ჯერჯერობით კოშკების უმრავლესობას რესტავრატორთა საინვენტარო ნომრები აქვს. მაგრამ ჩვენ უკვე დავუნახეთ ირინე შარაშენიძეს ხელში დანომრილი გასაღებები, რომლებსაც აქ საექსკურსიოდ ან დასასვენებლად ჩამოსული შატილის სტუმრები მიიღებენ. ამ ენერგიული, გატაცებული თბილისელი არქიტექტორის ხელმძღვანელობით ოთხი კოშკი უკვე მომარჯვებულია სასტუმრო ნომრებისათვის.

დღევანდელობა ხელუხლებლად ტოვებს მხარის სიტურფეს და ამასთანავე ფრთხილად შეაქვს შესწორებანი მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში, შრომაში. ქალაქელ სპეციალისტთა და ადგილობრივ მცხოვრებთა, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მშენებელთა და ხელმარჯვეთა გარჯის წყალობით ჩაღდება აღორძინების დღესასწაული, რომლის ფერხულშიც მონაწილეობდნენ 5-6 ოქტომბერს შატილის აგიზგიზებულ კერასთან მისი მოკეთენი და მოყვარენი.

ი. სუდაკოვა, გ. ჟანიშვილი.

სურათებზე: შატილობაზე.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინფორმაცია — 85 ● ინფორმაცია — 85 ● ინფორმაცია — 85

გვატყობინებენ „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

განახლებულ შენობაში

ქუთაისის ოპერის თეატრმა თავისი მე-17 სეზონი გახსნა ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერით „აბესალომ და ეთერი". ამავე სეზონის პირველი სპექტაკლი გამართა განახლებულ, რეკონსტრუირებულ შენობაში. გარდა ამისა, შემოქმედებითი კოლექტივი შეივსო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ბალეტის ახალგაზრდა სოლისტებით.

— ახალი სეზონის გახსნის წინ გასტროლები გავმართეთ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში — თქვა თეატრის დირექტორმა გივი ტორონჯაძემ. — შემოქმედებითი ანგარიში ჩავაბარეთ ჭიათურის, საჩხერისა და ტყიბულის მუსიკალური ხელოვნების მოყვარულებს.

ქუთაისელები ნახავენ თეატრის ახალ ნამუშევრებს. ეს არის ს. რახმანინოვის ოპერა „ალეკო", რომელსაც დგამს ახალგაზრდა რეჟისორი გ. გაბელია რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტთან ა. ჭიჭინაძესთან თანამეგობრობით. მიმდინარეობს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებით კომპოზიტორ შ. მშველიძის მუსიკაზე შექმნილი საბალეტო სპექტაკლის „ზვიადაურის" რეპეტიციები. სპექტაკლს დგამს ბ. მონავარდისაშვილი. გარდა ამისა, დაიდგმება შ. ჯოჯუას საბავშვო ოპერა „გასროლა ტყეში". სეზონის დასასრულს კი აღვნიშნავთ პ. ი. ჩაიკოვსკის ოპერის „იოლანტას" პრემიერით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, კოლექტივის მუშაობა მარტო ახალი სპექტაკლებით როდი შემოიფარგლება. აღვადგენთ დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურის", როსინის „სევილიელი დალაქის", ბუკიას საბავშვო ოპერის „დაუპატიჟებელი სტუმრების" დადგმებს.

სალამი, მუსიკის დღესასწაულო!

დადგა შემოდგომა, როცა კახეთში ქუდზე კაცი გამოდის დილიდანვე ყურძნის საკრეფად, და ამ დროს თელავის ცენტრში იწყება კამერული მუსიკის ფესტივალ-სემინარი „ქება ვაზისა".

სახელოვანი შემსრულებლების არასრული ნუსხაც კი — ელისო ვირსალაძე (იგი ამ დათვალიერების მოწყობის ინიციატორია), ნატალია გუტმანი, ოლეგ კაგანი, ოლეგ კრისა, მაყვალა ქასრაშვილი, ბოროდინის სახელობის სახელმწიფო კვარტეტი, ესტონეთის სიმებიანი მუსიკის ანსამბლი „ჰორტუს მუსიკუს", ლიტვის სსრ სახელმწიფო კამერული ორკესტრი ს. სონდეცკისის ხელმძღვანელობით, საქსახტელერადიოს სიმებიანი კვარტეტი — იძლევა შთაბეჭდილებას ფესტივალის კონცერტების მასშტაბზე, რომელიც 7 ოქტომბერს გაიხსნა. მასში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თელავის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები და რაიონის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

ფესტივალის მანძილზე — 7-დან 13 ოქტომბრამდე — გაიმართება ცხრა კონცერტი, რომლებიც მსმენელებს აზიარებენ სხვადასხვა საუკუნის, სხვადასხვა სტილის კომპოზიტორთა შემოქმედებას. შესრულდება, კერძოდ, ძველი ქართული საგალობლები, დასავლეთევროპული კლასიკის და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

თელავის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართება ღია გაკვეთილები, რომლებსაც მოაწყობენ პროფესორი ნ. პერელმანი, ე. ვირსალაძე, ო კრისა, ო. კაგანი, ნ. გუტმანი, მ. ქასრაშვილი, ს. სონდეცკისი. სასემინარო მეცადინეობა მიეძღვნება შესანიშნავი პიანისტისა და პედაგოგის გენრიხ ნეიგაუზის ხსოვნას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს მუსიკალური თანამეგობრობის საინტერესო ფურცლები. თეატრის ფოიეში გაიმართება ახალგაზრდა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, აგრეთვე გ. ნეიგაუზის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა.

ფესტივალი „ქება ვაზისა", რომელიც რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ მოაწყვეს, მიზნად ისახავს პროპაგანდა გაუწიოს საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებებს, გააცნოს მსმენელებს საშემსრულებლო ოსტატობა. იგი, უეჭველია, კიდევ უფრო მრავალმხრივსა და საინტერესოს გახდის ქალაქ თელავის კულტურულ ცხოვრებას, რომლის მშრომელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუსიკის ამ საშემოდგომო დღესასწაულის ორგანიზაციაში.

მიეძღვნა შუა საუკუნეების დიდ მედიკოსს

ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენციით აღნიშნა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობამ შუა საუკუნეების ამ გამოჩენილი მედიკოს-ენციკლოპედისტის 550 წლისთავი. კონფერენცია მოაწყვეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მედიცინის ისტორიკოსთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ.

კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზ. ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი" მარტო ისტორიულ ღირებულებას როდი წარმოადგენს. ეს არის სამედიცინო კულტურის წერილობითი ძეგლი, რომელმაც საუკუნეთა გამოცდას გაუძლო და რომელიც შეიცავს დიდძალ ძვირფას ინფორმაციას თანამედროვე მკვლევარებისათვის. ამიტომ ომის შემდეგ წლებშივე, როცა ზ. ფანასკერტელის ნაშრომი აღმოაჩინეს ქალაქ გორკის არქივებში, მეცნიერებმა დაიწყეს მისი საგულდაგულოდ შესწავლა, ადარებდნენ შუა საუკუნეების მედიკოსის რჩევა-დარიგებებსა და თანამედროვე მეთოდებს.

წიგნში, რომელშიც დაახლოებით ათასი ფურცელია, ნახავთ ადამიანის სნეულებათა მკურნალობის სასარგებლო რეკომენდაციებს, ცნობებს ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, დიაგნოსტიკაში, სამკურნალწამლო ფორმების დამზადების ხერხებს.

XV საუკუნის სამედიცინო მეცნიერების კორიფეს შრომის აქტუალურობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გ. ლეჟავამ.

ზ. ფანასკერტელის სამშობლოს — ქარელის რაიონის დღევანდელ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ აღინიშნება იქ მეცნიერის იუბილე, ილაპარაკა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. კილასონიამ.

ზ. ფანასკერტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სხვადასხვა საკითხს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში პროფესორი მ. შენგელია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბ. ნანეიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ქურციკაშვილი. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ჯანელიძემ კონფერენციის მონაწილეებს გააცნო რუსულ ენაზე ზ. ფანასკერტელის სამკურნალო წიგნის თავისი თარგმანის ფრაგმენტები. ეს თარგმანი მრავალი მკითხველის ხელმისაწვდომად გახდის წიგნს, რომლისადმიც დიდ ინტერესს იჩენენ ქვეყნის სპეციალისტები.

კონფერენციას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე.

დაბრუნდნენ ჯილდოებით

კიევის კულტურის სასახლე „უკრაინაში" დამთავრდა სატელევიზიო ფილმების XI საკავშირო ფესტივალი. კინოხელოვნების ამ შემოქმედებითს დათვალიერებაში მონაწილეობდა 140-ზე მეტი მხატვრული, დოკუმენტური, საბავშვო, მუსიკალური ფილმი, რომლებიც შეიქმნა ყველა რესპუბლიკურ და დიდ საოლქო ტელესტუდიასა და ქვეყნის 20 კინოსტუდიაში, ტელევიზიის შეკვეთით რომ იღებენ.

ორი „ბედნიერი ბილეთი" არგუნა ამ წარმომადგენლობითმა დათვალიერებამ ქართველ კინემატოგრაფისტებს: ფესტივალის პირველი პრემიები და ჟიურის პრიზები მიენიჭათ ფილმებს „პრომეთეს" (დამდგმელი — ბალეტმაისტერი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ლავროვსკი, დამდგმელი რეჟისორი— ზ. კაკაბაძე, დამდგმელი ოპერატორი — პ. შნაიდერი) და „ოლენკას" (რეჟისორი — გ. გაბელია, ოპერატორი — რ. ოდიშელიძე). გარდა ამისა, კონკურსზე უჩვენეს ქართული ფილმები — „ლელოს შემობრუნება" და „ახალი წახნაგი" — კინომოთხრობა ლიანა ისაკაძის დირიჟორულ მოღვაწეობაზე.

— ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით ქვეყნის ტელესტუდიებში ბოლო წლების მანძილზე შექმნილ საუკეთესო ფილმებს, — თქვა ფესტივალის მონაწილემ, საქართველოს ტელეფილმების სტუდიის მთავარმა რედაქტორმა ს. კორინთელმა.— მათი საერთო იდეური და მხატვრული დონე უაღრესად მაღალი იყო. მით უფრო სასიხარულოა, რომ ქართველ კინემატოგრაფისტთა ფილმებმა ჟიურის ესოდენ დიდი შეფასება დაიმსახურეს. კრიტიკოსები, მაყურებელი, ადგილობრივი პრესა აღნიშნავდნენ მათი ავტორების თავისთავადობასა და პოეტურობას, პროფესიული ოსტატობის სიმწიფეს, მათ მიერ თემებისა და მკაფიო მხატვრული გადაწყვეტების აქტიურ ძიებას.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მეცამეტე პარტია

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის მეცამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით კასპაროვი თამაშობდა. 24 სვლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ და ახლა ანგარიშია 6,5:6,5.

ტრადიციული, საერთაშორისო...

დღეს ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ იხსნება თბილისის ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მეათედ ეწყობა.

პირველი ასეთი ტურნირი 1960 წელს გაიმართა. მაშინ გაიმარჯვა მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა ლარისა ვოლპერტმა (ლენინგრადი), მეორე იყო ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც სულ ორი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. სწორედ ნონამ გაიმარჯვა მეორე (1961), მესამე (1962) და მეოთხე (1964) ტურნირებში, ხოლო მეხუთე და მეექვსე შეჯიბრებებში მსოფლიო ჩემპიონმა მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო. მეხუთეში (1968) გაიმარჯვა ნანა ალექსანდრიამ, მეექვსეში — საერთაშორისო ოსტატმა ალექსანდრა ნიკოლაუმ. 1973 წელს, მეშვიდე ტურნირში კვლავ ნონა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა, მერვეში კი (ნონას არ უთამაშია) 1975 წელს პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ და მოსკოველმა საერთაშორისო ოსტატმა ანა ახშარუმოვამ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცხრე საერთაშორისო ტურნირი, რომელიც შარშან გაიმართა და რომელმაც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს მოუყარა თავი. მეტად შეუპოვარ ბრძოლაში პირველი ისევ ნონა იყო, მეორე — ნანა იოსელიანი, მესამე-მეხუთე ადგილები კი მაია ჩიბურდანიძემ, ნინო გურიელმა და უნგრელმა მარია ივანკამ გაიყვეს. მსოფლიო ჩემპიონობის ახლანდელი პრეტენდენტი პია კრამლინგი მეექვსე გახლდათ.

ახლანდელმა ტურნირმა მეტად ძლიერი შემადგენლობა შემოიკრიბა, თუმცა, ამჯერად ვერ ვიხილავთ მაია ჩიბურდანიძეს (იგი ესპანეთში იყო „ოსკარის" მისაღებად), ნონა გაფრინდაშვილს (მან ამ დღეებში დაასრულა ვაჟთა ძლიერი ტურნირი ბულგარეთში) და ნანა ალექსანდრიას (იგი სულ ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც ქალთა ტურნირში პირველი პრიზი მოიპოვა). ბრძოლაში ებმებიან ელენე ახმილოვსკაია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ლენინგრადელი დიდოსტატი ირინე ლევიტინა, მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია), ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) და სხვები.

პირველი ტური ხვალ, 10 ოქტომბერს გაიმართება.

გ. გამრეკელი.

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ წლევანდელი სეზონის საუკეთესო გუნდის წოდების მოპოვების უაღრესად დიდი შანსი კვლავინდებურად კიევის დინამოელებს აქვთ. მათ ამჯერად მორიგი მატჩი როსტოველ არმიელებს მოუგეს ანგარიშით 4:2. გუშინწინ გამართული დანარჩენი შეხვედრები კი ასე დამთავრდა: „დნეპრო"-„არარატი" — 2:0, „ჩერნომორეცი"-„ნეფთჩი" — 1:1, „ყაირათი"-„სპარტაკი" — 4:4, მოსკოვის „ტორპედო"-„ზენიტი" — 1:3, „მეტალისტი"-„ფაქელი"— 1:0, „შახტიორი"-„ჟალგირისი" — 0:0. თბილისის „დინამომ" კვლავ უფერულად ჩაატარა მორიგი მატჩი და 0:1 წააგო ქუთაისის „ტორპედოსთან".

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ	17	7	4	53-19	41
„დნეპრო"	15	8	6	57-27	38
„სპარტაკი"	14	10	4	48-21	38
„დინამო" მნ	14	8	6	33-20	36
„ტორპედო" მ	12	8	8	33-29	32
„ყაირათი"	9	12	7	32-33	28
„ჟალგირისი"	9	10	9	32-39	28
„ზენიტი"	10	6	12	34-31	26
„მეტალისტი"	10	6	11	30-38	26
„არარატი"	8	10	9	30-31	26
„დინამო" თბ	9	7	12	25-31	25
„ფაქელი"	8	8	13	19-38	24
„ჩერნომორ."	9	5	14	33-53	23
„ნეფთჩი"	8	7	13	23-35	23
„შახტიორი"	7	9	11	34-38	23
„დინამო" მ	8	5	14	29-44	21
ასკ რ	7	7	14	32-48	21
„ტორპედო" ქთ	6	9	13	25-42	21

ქუთაისელ და თბილისელ ფეხბურთელთა მონაწილეობით კიდევ 6-6 მატჩი გაიმართება. საფიქრალ-განსასჯელად გთავაზობთ ამ შეხვედრათა განრიგს: **19 ოქტომბერი.** თბილისის „დინამო" — „დნეპრო", **20.** ქუთაისის „ტორპედო" — „ჩერნომორეცი", **27.** თბილისის „დინამო" — „ჩერნომორეცი", **3 ნოემბერი.** „ყაირათი" — თბილისის „დინამო", მოსკოვის „ტორპედო" — ქუთაისის „ტორპედო", **10.** მოსკოვის „ტორპედო" — თბილისის „დინამო", „ყაირათი" — ქუთაისის „ტორპედო", **15.** ქუთაისის „ტორპედო" — „დნეპრო", **19.** თბილისის „დინამო" — კიევის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო" — „მეტალისტი", **23.** თბილისის „დინამო" — „მეტალისტი", ქუთაისის „ტორპედო" — კიევის „დინამო".

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია: **„ა" ჯგუფი.** ლვოვის ასკ „კარპატი"-ცსკა — 1:1, ნიკოპოლის „კოლოსი"-დუშანბეს „პამირი" — 0:1, ვოროშილოვგრადის „როტორი"-ხაბაროვსკის ასკ — 2:0, აბოვიანის „კოტაიკი"-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 0:3, რიგის „დაუგავა"-სტავროპოლის „დინამო" — 1:0, იაროსლავლის „შინიკი"-ბათუმის „დინამო" — 3:1. ამ ჯგუფში კვლავ ერთპიროვნული ლიდერია „დაუგავა", რომელსაც ახლა 47 ქულა აქვს. ბათუმის „დინამო" 31 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა; **„ბ" ჯგუფი.** ტამკენტის „ფახთაქორი"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 0:1, ჯიზაკის „ზვეზდა"-ლანჩხუთის „გურია"—1:1, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი"-კრასნოდარის „ყუბანი" — 1:1, კემეროვოს „კუზბასი"-კიშინიოვის „ნისტრუ" — 3:0, სმოლენსკის „ისკრა"-ზაპოროჟიეს „მეტალურგი" — 0:1. ამ ჯგუფში კვლავ ლანჩხუთის „გურია" ლიდერობს, რომელსაც 37 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ ტამკენტის „ფახთაქორს" 3 ქულით უსწრებს.

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის აფრიკის ზონის პირველ ფინალურ შესარჩევ მატჩში ალჟირელებმა დაამარცხეს ტუნისელები ანგარიშით 4:1. ფინალური ტურნირის საგზურის მფლობელი საბოლოოდ ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში გაირკვევა.

საშემოდგომო ამანათრბენი

გაზეთ „თბილისის" პრიზზე

კონსტიტუციის დღეს მოეძღვნა ტრადიციული საშემოდგომო მძლეოსნური ამანათრბენი „თბილისის რკალი". შეჯიბრების ტრასა დაყოფილი იყო 21 ეტაპად, რომლის სიგრძე 7,5 კილომეტრი გახლდათ. ამჯერად 34 გუნდის 714 მძლეოსანი იბრძოდა გარდამავალი პრიზის მოპოვებისათვის.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაზეთ „თბილისის" პრიზი დაისაკუთრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი, მესამეზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძლეოსანთა ნაკრები.

სურათზე: ამანათრბენის მონაწილენი დისტანციაზე.
ჯ. ლომაძის ფოტო.

სატურნირო ორბიტა

ფრენბურთი. ჰოლანდიაში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე სსრ კავშირის როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ნაკრებმა კოლექტივებმა ოქროს მედლები მოიპოვეს. ქალთა შორის მეორე ადგილზე გამოვიდა გდრ-ის ნაკრები, მესამეზე — ჰოლანდიელთა გუნდი. ვაჟებში მეორენი იყვნენ ჩეხოსლოვაკიელები, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ფრანგებს.

მძლეოსნობა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კოშიცეს მიდამოებში გამართულ მარათონულ რბენაში პირველი ადგილები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ლუცია ბელიაევა (2:38.19), ვაჟებში — ბრეჟნეველი ვალენტინ სტარიკოვი (2:17.13).

ძიუდო. გომელში დამთავრებულ დინამოელ იუნიორთა (1963-66 წლებში დაბადებულნი) საკავშირო შეჯიბრებაზე ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ ორი პირველი ადგილი მოიპოვა (მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში). ოქროს მედლები დაისაკუთრეს აგრეთვე თბილისელებმა ბორის ფირცხელანმა (66 კგ-მდე წონა) და ალექსი ხაჩიძემ (95 კგ). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესთა წოდება მოიპოვეს საქართველოს ძიუდოისტებმა.

სამბო. ოდესაშიც დამთავრდა დინამოელ იუნიორთა (1967-68 წლებში დაბადებულნი) საკავშირო შეჯიბრება. აქ საქართველოს სპორტსმენთაგან ოქროს მედალს დაეუფლა პაატა ჭელიძე (97 კგ-მდე წონა), ვერცხლისას — კახაბერ ქივიძე (75 კგ) და ივანე ჭინჭარაძე (87 კგ), ბრინჯაოსას — ბესიკ გულიაშვილი (97 კგ).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ი. თ. ჭოჭუას დამკრძალავი კომისია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. გ. გ. ლეჟავას თავმჯდომარეობით.

ი. თ. ჭოჭუას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ი. თ. ჭოჭუას დამკრძალავი კომისიისაგან

დაკრძალვა — 10 ოქტომბერს ახალ ათონში, 17 საათზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე

იგორ თეიმურაზის ძე ჭოჭუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.00 — მოგზაურთა კლუბი. 11.00 — მხატვრული ტელეფილმი „უკანასკნელ წუთს". 11.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „ოთხმოციანის კომუნისტები". 16.25 — მუსიკოსის პორტრეტი. გ. ჩერნი-სტეფანსკა. 17.00 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. ვ. ი. ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". 17.30— დოკუმენტური ტელეფილმი „იაროსლაველი და იაროსლაველელები". 18.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.05 — სენსანსი. მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 19.30 — ყოველ ნახატში მზეა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — მულტფილმი. 20.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 21.00 — მხატვრული ფილმი „სიკვდილი ვილეზე". 22.00— „ვრემია". 22.35 — ბალეტი. 23.00 — ფეხბურთი. დანიის ნაკრები — შვეიცარიის ნაკრები. მე-2 ტაიმი. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15; 19.20 და 20.05 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 — პ. ჩაიკოვსკი. 10.35 და 13.30 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ნ. ვ. გოგოლი. „ტარას ბულბა". მეექვსე კლასი. 12.05 — ოჯახი და სკოლა. 13.10 — ბუნებისმეტყველება. მე-3 კლასი. 14.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.10 — საბჭოური სახვითი ხელოვნება. ს. კონენკოვი. 15.00 — ა. მ. გორკის დრამატურგია. 16.00 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — სოციალისტური ეკონომიკის მართვა. 20.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ბურთიანი ჰოკეი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ეფრეიტორ ზბრუევის შვიდი საცოლე". 0.10 — ახალი ამბები.

თბილისი

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.05 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 10.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა". 11.45 — კინოჟურნალი. 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მოვიმარჯვოთ მეცნიერება". 12.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიჭვინთა". 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ა. სულაქველიძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — 80-იანი წლების კომუნისტები — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ჯოტო გუგუჩია" და „ჩემი ჩუკოტკა" (მ.). 16.25 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. მგელაძე). 16.55 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.05 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — „ჯადოსნური საღებავი". 18.05 — განცხადებები. 18.10 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 18.45 — ახალგაზრდობისათვის. „საუნჯე" — ვანის არქეოლოგიური გათხრები. 19.20 — ცის ქვეშ დაყრილი მილიონები (განმეორებით). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — მოამბე. 20.30 — ცეროდენას ეკრანი. 20.45 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „ლიტერატურული ბათუმი". (გადაცემას უძღვება ფრიდონ ხალვაში). 21.45 — კინოჟურნალი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — კონცერტი. 23.00 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე: დანია-შვეიცარია. მეორე ტაიმი. რეპორტაჟი დანიიდან. 23.45 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.50 — მხატვრული ფილმი „წლევანდელი ზაფხულის შლიაგერი". 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

თეატრი

9 ოქტომბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა (59-ე აბონ. მე-5 წარმ.); თბილისის სახელმწიფო დრამატული — რომაელები; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემო საყვარელო ბიძია; მინიატიურების სახელმწიფო — პაემანი ხეზე ან ბესარიონის თავგადასავალი (პრემიერა); მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითელქუდა (აბონ. № 4, დღისით).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06336 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14